

## ვეტერინარული სახელმწიფო კონტროლის 2026 წლის პროგრამა

## მუხლი 1. შესავალი

1. აღნიშნული პროგრამა შემუშავებულია სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად და წარმოადგენს ვეტერინარული სახელმწიფო კონტროლის 2026 წლის სამოქმედო გეგმას.

2. ვეტერინარული სახელმწიფო კონტროლი მოიცავს სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული დაავადებების ლაბორატორიულ კონტროლს (დიაგნოსტიკურ გამოკვლევებს), ცხოველთა სადგომის/დროებითი სადგომის იდენტიფიკაცია-რეგისტრაციასთან დაკავშირებული მოთხოვნების ინსპექტირებას, ვეტერინარული კონტროლისადმი დაქვემდებარებული ბიზნესოპერატორების სახელმწიფო კონტროლს (ინსპექტირება, დოკუმენტური შემოწმება, მონიტორინგი, ნიმუშის აღება), ვეტერინარული სამსახურისა და ცხოველთა ჭერის საქმიანობისათვის საჭირო, საქართველოში სპეციალური კონტროლისადმი დაქვემდებარებული ნივთიერებების გამოყენებაზე კონტროლის, წარმოების, გადამუშავებისა და დისტრიბუციის ეტაპებზე ვეტერინარული პრეპარატისა და ცხოველის საკვების საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე სახელმწიფო კონტროლის, ფერმებში ცოცხალი ცხოველებიდან (ბიოლოგიური სითხეები და ქსოვილები), აკვაკულტურის ობიექტის წყლიდან და ცხოველის საკვებიდან აღებულ ნიმუშებში ანაბოლური მოქმედების მქონე, აკრძალული ნივთიერებების, ვეტერინარული პრეპარატების და სხვა დამაბინძურებლების მონიტორინგს, აგრეთვე ვეტერინარული პრეპარატების ხარისხის მონიტორინგს, შინაური ბინადარი და სასურსათო დანიშნულების ცხოველების საკვების, ცხოველური ცხიმის გადამუშავების შედეგად მიღებული ხიწიწისუვნებლობის მონიტორინგს, მცენარეული და ცხოველური წარმოშობის ცხოველის საკვებში პესტიციდების ნარჩენების მაქსიმალური დონის (შემდგომში - ნმდ) მონიტორინგს, არარეგისტრირებული, ვადაგასული და გამოსაყენებლად უვარგისად მიჩნეული ვეტერინარული პრეპარატების განადგურებაზე, ვადაგასული ან/და გამოსაყენებლად უვარგისად მიჩნეული ცხოველის საკვების განადგურებაზე, ცხოველური წარმოშობის არასასურსათო დანიშნულების პროდუქტის (მ.შ. მეფუტკრეობის არასასურსათო დანიშნულების პროდუქტი) განკარგვაზე, ბიზნესოპერატორის მიერ სააგენტოს მითითებების შესრულებაზე ზედამხედველობას, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დასადგენად საფრთხის

ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების (HACCP) პრინციპებზე დაფუძნებული სისტემის შემოწმებას, ასევე, ცხოველთა ჯანმრთელობაზე კონტროლს, კერძოდ: ვაქცინაცია, გამოკვლევები, ცხოველთა იდენტიფიკაცია/რეგისტრაცია, ვექტორების საწინააღმდეგოდ დამუშავება და სხვა ვეტერინარული ღონისძიებების განხორციელებაზე კონტროლს.

3. პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებები მიმართულია ცხოველთა დაავადებების, მათ შორის ზოონოზური დაავადებების, თავიდან აცილებისა ან/და გამოვლინებების შემცირებისკენ, დაავადებების უმოკლეს ვადებში ლოკალიზაცია/ლიკვიდაციისკენ, ხარისხიანი ვეტერინარული პრეპარატებით, წარმოების, გადამუშავებისა და დისტრიბუციის ეტაპებზე მიკვლევადობის მოთხოვნების შემოწმება და მე-3 კატეგორიის მასალიდან მიღებული შინაური ბინადარი ცხოველის უვნებელი საკვებით მომხმარებელთა მოთხოვნის დაკმაყოფილებისკენ, ასევე ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის სისტემის გაუმჯობესებისაკენ.

## **მუხლი 2. პროგრამის განხორციელების საფუძვლები:**

პროგრამის განხორციელების სამართლებრივი საფუძვლებია:

„სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი“; „შინაურ ბინადარ ცხოველთა შესახებ“ საქართველოს კანონი; საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი; „ვეტერინარული საქმიანობის განმახორციელებელი ბიზნესოპერატორებისა და აგრარული ბაზრების/ბაზრობების, სადაც ხორციელდება ცოცხალი ცხოველის რეალიზაცია, ვეტერინარული სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 26 ივნისის №338 დადგენილება; „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 16 ოქტომბრის №533 დადგენილება; „ცხოველის საკვების სახელმწიფო კონტროლისათვის ნიმუშის აღებისა და გამოკვლევის მეთოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 2 მარტის №107 დადგენილება; „ცხოველის საკვების ჰიგიენის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 13 მარტის N173 დადგენილება; „ვეტერინარული საქმიანობის განმახორციელებელი ბიზნესოპერატორების საქმიანობასთან დაკავშირებული მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 ივნისის №345 დადგენილება; „ტექნიკური რეგლამენტის-აგრარულ ბაზრებზე/ბაზრობებზე სურსათისა და ცხოველის რეალიზაციის წესის

დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №417 დადგენილება; „ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქტების ექსპორტის დროს გამოსაყენებელი ვეტერინარული (ჯანმრთელობის) სერტიფიკატების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 02 აპრილის №147 დადგენილება; „ტექნიკური რეგლამენტის - ცოცხალ ცხოველებსა და ცხოველური წარმოშობის სურსათში ზოგიერთი ნივთიერებისა (სუბსტანციის) და მათი ნარჩენების მონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 იანვრის №22 დადგენილება; „ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაციისა და მათი სადგომების/დროებითი სადგომის რეგისტრაციის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ოქტომბრის №483 დადგენილება; „ცხოველთა გადამდები დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ-საკარანტინო ღონისძიებათა განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 ივლისის №348 დადგენილება; „ტექნიკური რეგლამენტის - სეზონურ საძოვრებზე ცხოველთა გადარეკვის ვეტერინარულ-სანიტარიული წესის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №422 დადგენილება; „ტექნიკური რეგლამენტის - „ცხოველური წარმოშობის არასასურსათო დანიშნულების პროდუქტებისა და მეორეული პროდუქტის, რომლებიც არ არის გამიზნული ადამიანის მიერ მოხმარებისთვის, ჯანმრთელობისა და ამ საქმიანობასთან დაკავშირებული ბიზნესოპერატორის აღიარების წესის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 29 დეკემბრის №605 დადგენილება; „ტექნიკური რეგლამენტის - ფრინველის გრიპის დიაგნოსტიკის სახელმძღვანელოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 30 დეკემბრის №637 დადგენილება; „ტექნიკური რეგლამენტის - ღორის აფრიკული ჭირის (ცხელების) დიაგნოსტიკის სახელმძღვანელოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 7 ნოემბრის №496 დადგენილება; „ტექნიკური რეგლამენტის - ღორის კლასიკური ჭირის დიაგნოსტიკის სახელმძღვანელოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 8 ნოემბრის №498 დადგენილება; „პროფილაქტიკური კარანტინის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 3 თებერვლის №59 დადგენილება; „თევზის ვირუსული ჰემორაგიული სეპტიცემიისა (VHS) და სისხლმზადი ქსოვილის ინფექციური ნეკროზის (IHN) გამოვლენისა და დადასტურებისთვის ნიმუშის აღების გეგმებისა და დიაგნოსტიკის მეთოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 30 დეკემბრის №636 დადგენილება; „აკვაკულტურის ცხოველის ჯანმრთელობასა და მის პროდუქტებთან

დაკავშირებული მოთხოვნებისა და წყლის ცხოველის ზოგიერთი დაავადების პრევენციისა და კონტროლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 28 დეკემბრის №594 დადგენილება; „ბლუთანგის აღმოფხვრისა და კონტროლთან დაკავშირებული სპეციალური წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 3 აგვისტოს №398 დადგენილება; „ზოონოზისა და ზოონოზური აგენტის მონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 5 ივლისის №323 დადგენილება; „ტექნიკური რეგლამენტის – ღორის ვეზიკულური დაავადების დიაგნოსტიკური სახელმძღვანელოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 დეკემბრის №747 დადგენილება; „მეცხოველეობაში ჰორმონული და თირეოსტატიკური მოქმედების მქონე ზოგიერთი ნივთიერებისა (სუბსტანციის) და ბეტა-აგონისტების გამოყენების აკრძალვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 იანვრის №10 დადგენილება; „მცენარეული და ცხოველური წარმოშობის სურსათ(ზე)ში/ცხოველის საკვებ(ზე)ში პესტიციდების ნარჩენების მაქსიმალური დონის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 დეკემბრის №623 დადგენილება; ტექნიკური რეგლამენტის – „სურსათში/ცხოველთა საკვებში და გარემოს ობიექტებში პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ნარჩენების კონტროლისათვის ნიმუშების აღების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის №35 დადგენილება; ტექნიკური რეგლამენტის – ცხოველთა საკვებში არასასურველი ნივთიერებების შემცველობის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 29 თებერვლის №59 დადგენილება; ტექნიკური რეგლამენტის – „ცხოველური წარმოშობის სურსათში აკრძალულ/დაუშვებელ ფარმაცოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებთან (სუბსტანციებთან) დაკავშირებით მოქმედებისათვის საცნობარო მაჩვენებლების (RPA) შესახებ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 13 ივნისის №225 დადგენილება. „ცხოველის საკვების გამოყენებისა და ბაზარზე განთავსების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 8 თებერვლის №58 დადგენილება; „ვეტერინარული სამსახურისა და ცხოველთა ჭერის საქმიანობისათვის საჭირო საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2014 წლის 28 მაისის №2-107 ბრძანება; „ცხოველის სამკურნალო საკვების წარმოება, ბაზარზე განთავსება და გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 29 იანვრის №22 დადგენილება; „ტექნიკური რეგლამენტის – სასურსათო დანიშნულების ცხოველებში ფარმაცოლოგიურად აქტიური

ნივთიერებების (სუბსტანციების) ნარჩენების ანალიზის მეთოდების განხორციელების, ნიმუშის აღებისა და შედეგების ინტერპრეტაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 5 ივნისის №212 დადგენილება; „ხორცში ტრიქინელას სახელმწიფო კონტროლის სპეციალური წესის დამტკიცების შესახებ“ - საქართველოს მთავრობის 2021 წლის 7 დეკემბრის №575 დადგენილება; „ცხოველთა კვებაში გამოსაყენებელი ცხოველის საკვები დანამატების წესის დამტკიცების შესახებ“ - საქართველოს მთავრობის 2022 წლის 3 ოქტომბრის №473 დადგენილება; „მეკვერცხული მიმართულების საწარმოს ავტორიზაციის წესის დამტკიცების შესახებ“ - საქართველოს მთავრობის 2023 წლის 16 იანვრის №7 დადგენილება; „სურსათის/ცხოველის საკვების არაორგანიზებული წარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 9 იანვრის №14 დადგენილება; „ანტიმიკრობული რეზისტენტობის საწინააღმდეგო 2024-2030 წლების ეროვნული სტრატეგიის და 2024-2026 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2023 წლის 21 დეკემბრის №96/ნ ბრძანება.

### **მუხლი 3. პროგრამის მიზნები**

პროგრამის მიზნებია:

- ა) ქვეყნის ტერიტორიის დაცვა გადამდები დაავადებების აღმძვრელის შემოჭრა/შემოტანისა და გავრცელებისაგან;
- ბ) ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვა საშიში ინფექციური დაავადებებისგან (ვეტერინარული კეთილსაიმედოობის მიღწევა/შენარჩუნება);
- გ) ზოონოზური დაავადებებისგან ადამიანების დაცვა და მათი გამოვლენის შემცირება;
- დ) ფერმებსა და ოჯახურ წარმოებაში ცხოველთა ინფექციური დაავადების გავრცელებით გამოწვეული ეკონომიკური ზარალის და საერთაშორისო ვაჭრობაში შეზღუდვების თავიდან აცილება;
- ე) ვეტერინარული კონტროლისადმი დაქვემდებარებული ბიზნესოპერატორების საქმიანობის სახელმწიფო კონტროლი, დარღვევების გამოვლენა და მათი აღმოფხვრა;
- ვ) ცხოველთა იდენტიფიკაცია - რეგისტრაციის სისტემის დანერგვა. სადგომის/დროებითი სადგომის შესახებ არსებული სიტუაციის შესწავლა. მონაცემთა ერთიანი ბაზის სრულყოფა-მონაცემების განახლება, ცხოველთა მიკვლევადობის გაუმჯობესება;
- ზ) ცოცხალ ცხოველებში (ბიოლოგიური სითხეები და ქსოვილები) და ცხოველის საკვებში ანაბოლური მოქმედების მქონე, აკრძალული ნივთიერების, ვეტერინარული პრეპარატების

და სხვა დამაბინძურებლების (მედროქსიპროგესტერონი, პროგესტერონი, 17-ბეტა-ესტრადიოლი, ნტესტოსტერონი, ეთინილ ესტრადიოლი, ტრემბოლოლიზერანოლი, ქლორამფენიკოლი, მეტრონიდაზოლი, რონიდაზოლი, ფურაზოლიდონი, ფურალტადონი, ნიტროფურაზონი, ნიტროფურანტონი, გენტამიცინი, სტრეპტომიცინი, ტეტრაციკლინი, ოქსიტეტრაციკლინი, ალბენდაზოლი, ლევომიზოლი), მათ შორის მალაქიტის მწვანის, ლეუკომალაქიტის მწვანის, კრისტალური იისფერის, ლეუკოკრისტალური იისფერის, ავლატოქსინი B1-ისა და პესტიციდების ნარჩენების მაქსიმალური დონის შემცველობის გამოვლენა და მათი არსებობის მიზეზების დადგენა;

თ) ცხოველთა ჯანმრთელობაზე კონტროლის განხორციელება, მათ შორის გადაადგილების დროს;

ი) ხარისხიანი ვეტერინარული პრეპარატების მიმოქცევის ხელშეწყობა;

კ) ცხოველური წარმოშობის არასასურსათო დანიშნულების უვნებელი პროდუქტის (მე-3 კატეგორიის მასალიდან დამზადებული შინაური ბინადარი ცხოველის გადამუშავებული, ნედლი, დაკონსერვებული საკვების, ძაღლის საღრღნელი ძვლის, ტყავის და კანის, მატყლისა და თევზის ფქვილის), ცხოველური ცხიმის გადამუშავების შედეგად მიღებული ხიწიწის წარმოება/გადამუშავება და ბაზარზე განთავსება.

ლ) უვნებელი ცხოველის საკვების წარმოების, გადამუშავებისა და დისტრიბუციის უზრუნველყოფა და სასურსათო დანიშნულების ცხოველების ისეთი ცხოველის საკვებით კვება, რომელიც შეძლებისამებრ უზრუნველყოფს დაბალი რისკის შენარჩუნებას ბიოლოგიური, ქიმიური და ფიზიკური დაბინძურებისაგან.

#### **მუხლი 4. პროგრამის განხორციელების უფლებამოსილება**

ვეტერინარულ სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს სააგენტოს უფლებამოსილი პირი (ვეტერინარი). სახელმწიფო კონტროლის განხორციელებისას, სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსით დადგენილი მოთხოვნების დარღვევაზე, ამავე კოდექსის 65-ე მუხლის, 66-ე მუხლის მე-10 ნაწილის, 69-71-ე და 73-74-ე მუხლების შესაბამისად, სააგენტოს უფლებამოსილი პირი ადგენს საჯარიმო ქვითარს, რომელიც, იმავდროულად, არის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი.

#### **მუხლი 5. სახელმწიფო კონტროლის განხორციელების მექანიზმები**

1. ინსპექტირება ხორციელდება:

- ა) ვეტერინარული პრეპარატების დამამზადებელ საწარმოში;
- ბ) ვეტერინარული პრეპარატების საბითუმო და საცალო ვაჭრობის ობიექტში;
- გ) ვეტერინარულ დაწესებულებაში;
- დ) ცხოველების მოვლისა და ჰიგიენური მომსახურების (გრუმინგი) ობიექტში;
- ე) ცხოველთა თავშესაფარში;
- ვ) ზოომაღაზიაში;
- ზ) ცოცხალი ცხოველების სარეალიზაციო აგრარულ ბაზარში/ბაზრობაში;
- თ) შინაური ბინადარი ცხოველის გადამუშავებული, ნედლი, დაკონსერვებული საკვების, ძაღლის საღრნელი ძვლის, ტყავის და კანის, მატყლის, თევზის ფქვილის საწარმოებში;
- ი) სასურსათო დანიშნულების ცხოველის საკვების საწარმოში;
- კ) პირველადი წარმოების ობიექტებში;
- ლ) კულინარიული ცხიმების შემგროვებელ საწარმოში;
- მ) ცხოველური ცხიმის შემგროვებელ და გადამამუშავებელ საწარმოში;
- ნ) ვეტერინარული სამსახურისა და ცხოველთა ჭერის საქმიანობის განმახორციელებელ ბიზნესოპერატორებთან, რომლებიც საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა და სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ფარმაცევტულ პროდუქტთან გათანაბრებული სამკურნალო საშუალებების მიღება, შექმნა, გაცემა, გამოყენება, ჩამოწერისა და განადგურებას ახორციელებენ;
- ო) ცწადჰ-ს გადამამუშავებელ საწარმოებში.

## 2. მონიტორინგი მოიცავს:

- ა) ცოცხალ ცხოველებში (ბიოლოგიური სითხეები და ქსოვილები) და ცხოველის საკვებში ანაბოლური მოქმედების მქონე, აკრძალული ნივთიერების, ვეტერინარული პრეპარატებისა და სხვა დამაბინძურებლების (მედროქსიპროგესტერონი, პროგესტერონი, 17-ბეტა-ესტრადიოლი, ტესტოსტერონი, ეთინილ ესტრადიოლი, ტრემბოლოლიზერანოლი, ქლორამფენიკოლი, მეტრონიდაზოლი, რონიდაზოლი, ფურაზოლიდონი, ფურალტადონი, ნიტროფურაზონი, ნიტროფურანტონი, გენტამიცინი, სტრეპტომიცინი, ტეტრაციკლინი, ოქსიტეტრაციკლინი, *ალბენდაზოლი*, *ლევომიზოლი*), მათ შორის მალაქიტის მწვანის, ლეუკომალაქიტის მწვანის, კრისტალური იისფერის, ლეუკოკრისტალური იისფერისა და აფლატოქსინი B1-ის გამოვლენას;
- ბ) შინაური ბინადარი ცხოველის გადამამუშავებული, ნედლი და დაკონსერვებული საკვების, ძაღლის საღრნელი ძვლის, ასევე თევზის ფქვილის გამოკვლევას სალმონელასა და

ენტერობაქტერიებზე;

გ) ცხოველური ცხიმის გადამუშავების შედეგად მიღებული ხიწიწის ხარისხის დადგენის მიზნით ნიმუშის აღებას;

დ) ვეტერინარული პრეპარატების ხარისხის დადგენის მიზნით ნიმუშის აღებას;

ე) ვეტერინარული პრეპარატების/ცხოველის საკვების ეტიკეტირების შემოწმებას;

ვ) ცხოველის საცხოვრებელი გარემოს დათვალიერებას და ინფორმაციის შეგროვებას;

ზ) ცხოველის ჯანმრთელობის მდგომარეობისა შეფასებას;

თ) ცხოველთა ვაქცინაციის, გამოკვლევების და დამუშავების შესახებ მონაცემების მოპოვებას;

ი) რისკის შესაფასებლად სინჯის, ნიმუშის, პათოლოგიური მასალის აღებას;

კ) სასურსათო დანიშნულების ცხოველის საკვებში პესტიციდების ნარჩენების მაქსიმალური დონის განსაზღვრას.

3. ზედამხედველობა ხორციელდება:

ა) საკარანტინო ღონისძიებების მიმდინარეობაზე;

ბ) გადამდები დაავადებებისა და მასობრივი არაგადამდები დაავადებების საწინააღმდეგო ღონისძიებებზე;

გ) არარეგისტრირებული, ვადაგასული და გამოსაყენებლად უვარგისად მიჩნეული ვეტერინარული პრეპარატების განადგურებაზე;

დ) გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმებისა და მათგან წარმოებული გენმოდიფიცირებული პროდუქტის ეტიკეტირების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესების დარღვევის გამოუსწორებლობის შემთხვევაში ვადაგასული ან/და გამოსაყენებლად უვარგისად მიჩნეული ცხოველის საკვების განკარგვა/განთავსებაზე ზედამხედველობა

ე) ცხოველური წარმოშობის არასასურსათო დანიშნულების პროდუქტის, მათ შორის მეფუტკრეობის არასასურსათო დანიშნულების პროდუქტის განკარგვა/განთავსებაზე;

ვ) ცხოველთა გადაყვანა-გადარეკვის მიმდინარეობაზე (მათ შორის, სეზონურ სამოვრებზე);

ზ) ვადაგასული ან/და გამოსაყენებლად უვარგისად მიჩნეული ცხოველის საკვების განადგურება;

თ) ბიზნესოპერატორის მიერ სააგენტოს მითითებების შესრულებაზე;

ი) ცოცხალი ცხოველების, მეცხოველეობის არასასურსათო დანიშნულების პროდუქტების გადაზიდვის დროს გამოსაყენებელი ვეტერინარული მოწმობების და სერტიფიკატების

გაცემასა და გამოყენებაზე.

4. დოკუმენტური შემოწმება ხორციელდება დამოუკიდებლად ან სახელმწიფო კონტროლის სხვა მექანიზმებთან (ინსპექტირება, მონიტორინგი, ზედამხედველობა) ერთად, ბიზნესოპერატორის საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტების შემოწმების მიზნით, მათ შორის ჩანაწერებისა და ცხოველის საკვების შემოწმება.

5. ნიმუშის აღება ხორციელდება ორგანოლექტიკური, მიკრობიოლოგიური, პარაზიტოლოგიური, ტოქსიკოლოგიური, ფიზიკურ-ქიმიური, რადიოლოგიური, დაავადებების ან/და სხვა მაჩვენებლების გამოსაკვლევად, რათა განისაზღვროს ცხოველის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისათვის, ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის მოსალოდნელი რისკი. ასევე ცხოველის საკვების, ცხოველური ცხიმის გადამუშავების შედეგად მიღებული ხიწიწის ხარისხობრივი მაჩვენებლების გამოკვლევა, რათა მოხდეს მომხმარებლის ინტერესების დაცვა. ნიმუშის აღება შეიძლება განხორციელდეს ინსპექტირების, ზედამხედველობის, მონიტორინგის დროს ან დამოუკიდებლად.

6. აუდიტი ხორციელდება კარგი ჰიგიენის პრაქტიკის, საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების (HACCP) სისტემის პრინციპების შესაბამისად დანერგილი ცხოველის საკვების უვნებლობის პროცედურების მიმართ, რომლის დროსაც უნდა დადგინდეს:

- ა) ბიზნესოპერატორის ქმედებებისა და მათი შედეგების მის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებსა და ზომებთან შესაბამისობა;
- ბ) ბიზნესოპერატორის მიერ დაგეგმილი ღონისძიებებისა და ზომების ეფექტიანობა და დასახულ მიზნებთან შესაბამისობა.

7. განხორციელდება სადგომის ან კომპარტმენტის ოფიციალურად მიჩნევა კონტროლირებადი შენახვის პირობების გამომყენებლად. ასევე განხორციელდება აუდიტის პერიოდულად განხორციელება იმ სადგომში, რომელიც ოფიციალურად მიჩნეულია, რომ იყენებს კონტროლირებად შენახვის პირობებს. აუდიტის სიხშირე რისკის მიხედვით განისაზღვრება და გაითვალისწინებს სადგომის დაავადების ისტორიასა და გავრცელებას, წინა დასკვნებს, გეოგრაფიულ ზონას, ადგილობრივ ამთვისებელ ველურ ბუნებას, მეცხოველეობის პრაქტიკას, ვეტერინარულ ზედამხედველობასა და ფერმების შესაბამისობას.

8. განხორციელდება მეკვერცხული საწარმოს ავტორიზაცია საქართველოს მთავრობის №7 დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ბაზარზე

ადამიანის მიერ მოხმარებისათვის განთავსებული კვერცხის მიკვლევადობა.

9. განხორციელდება აკვაკულტურის წარმოების ავტორიზაცია „აკვაკულტურის ცხოველის ჯანმრთელობასა და მის პროდუქტებთან დაკავშირებული მოთხოვნებისა და წყლის ცხოველის ზოგიერთი დაავადების პრევენციისა და კონტროლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 28 დეკემბრის №594 დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად, რათა უზრუნველყოფილი იქნეს აკვაკულტურის ცხოველის ჯანმრთელობასთან და მის პროდუქტებთან, ასევე იმპორტთან და ტრანზიტთან დაკავშირებულ მოთხოვნებთან შესაბამისობა, ასევე აკვაკულტურის ცხოველების დაავადებების შესახებ მინიმალური პრევენციული ღონისძიებების განხორციელება და მიკვლევადობა.

10. „ანტიმიკრობული რეზისტენტობის საწინააღმდეგო 2024-2030 წლების ეროვნული სტრატეგიის და 2024-2026 წლების სამოქმედო გეგმის“ მოთხოვნების შესაბამისად პირველად წარმოებაში სახელმწიფო კონტროლის განხორციელების დროს დასაბუთებული ეჭვის გაჩენის შემთხვევაში, მოხდება ნიმუშის აღება და გამოკვლევა ანტიმიკრობული საშუალებების შემცველობაზე.

## **მუხლი 6. ვეტერინარული სახელმწიფო კონტროლის განხორციელება**

### **1. ვეტერინარულ სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული ობიექტების სახელმწიფო კონტროლი:**

2026 წელს განხორციელდება ვეტერინარული კონტროლისადმი დაქვემდებარებული **2504** ობიექტის (ვეტერინარული დაწესებულება, ზოომდაზრია, ვეტერინარული პრეპარატების საცალო და საბითუმო სავაჭრო ობიექტი, ცხოველების მოვლისა და ჰიგიენური მომსახურების (გრუმინგი) ობიექტი, ცხოველთა თავშესაფარი, ვეტერინარული პრეპარატების საწარმო, სასურსათო დანიშნულებისა და შინაური ბინადარი ცხოველების საკვების საწარმო, თევზის ფქვილის საწარმო, ცოცხალი ცხოველების ბაზარი/ბაზრობა, პირველადი წარმოების ობიექტი, აკვაკულტურის ობიექტი, ტყავის შემგროვებელი საწარმო, კულინარიული ცხიმების შემგროვებელი და ცხოველური ცხიმების შემგროვებელი და გადამამუშავებელი საწარმო) შემოწმება, ანუ განხორციელდება **2597** სახელმწიფო კონტროლი (ინსპექტირება და დოკუმენტური შემოწმება), აქედან **1475** ობიექტის წლის განმავლობაში ერთხელ ინსპექტირება, **93** ობიექტის, როგორც მაღალი რისკის ობიექტის ორჯერ ინსპექტირება და **280** საცალო და საბითუმო აფთიაქის და **656** პირველადი წარმოების დოკუმენტური შემოწმება (სულ **936** დოკუმენტური შემოწმება).

### **2. ბიზნესოპერატორის საქმიანობაში შესაძლო საფრთხის ზემოქმედებით გამოწვეული**

ზიანიდან და მისი შედეგის სიმძიმიდან გამომდინარე განასხვავებენ მაღალი, საშუალო და დაბალი რისკის ობიექტებს.

*2.1 მაღალი რისკის ობიექტებს განეკუთვნებიან ობიექტები, რომლებიც ახორციელებენ:*

- ა) ცხოველის საკვების წარმოებას;
- ბ) თევზის ფქვილის წარმოებას;
- გ) ნარკოტიკული ან/და ფსიქოტროპული საშუალებების გამოყენებას;
- ე) ვეტერინარული პრეპარატების წარმოებას;
- ვ) კულინარიული ცხიმის შეგროვებას;
- ზ) ცხოველური ცხიმის შეგროვებას და გადამუშავებას

*2.2 საშუალო რისკის ობიექტებს განეკუთვნებიან ობიექტები, რომლებიც ახორციელებენ:*

- ა) ცხოველების მოვლა-შენახვას, გამოზრდას, მოშენებას;
- ბ) ვეტერინარული პრეპარატების საცალო (ვეტაფთიაქი) და საბითუმო ვაჭრობას;
- გ) ცოცხალი ცხოველების რეალიზაციას აგრარულ ბაზრობაზე.
- დ) ცხოველების დაავადებების სამკურნალობა-პროფილაქტიკურ ღონისძიებებს (ვეტერინარული დაწესებულება).

*2.3 დაბალი რისკის ობიექტებს განეკუთვნებიან ობიექტები, რომლებიც ახორციელებენ:*

- ა) ცხოველის საკვების რეალიზაციას (ზოომალაზია);
- ბ) ცხოველთა კოსმეტიკურ მომსახურებას (ცხოველის მორთვა-მოკაზმვა და კოსმეტიკური ოპერაციები);
- გ) ტყავის, მატყლის შეგროვებას.

**3. ვეტერინარული სახელმწიფო კონტროლის პროგრამის შემუშავებისას ვეტერინარული კონტროლისადმი დაქვემდებარებული ობიექტების დაგეგმვა ხდება:**

3.1. სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ქვეყანაში რეგისტრირებული საშუალო და დაბალი რისკის ობიექტების არანაკლებ 20%;

3.2. სააგენტოს ტერიტორიული ორგანოები, მათთვის დაგეგმილი (განსაზღვრული) საშუალო და დაბალი რისკის ობიექტების ინსპექტირებისათვის შერჩევას და სამოქმედო გეგმაში შეტანას განახორციელებენ შემდეგ კრიტერიუმებზე დაყრდნობით:

- ა) საანგარიშო წელს სამართალდამრღვევი ობიექტი;
- ბ) ბოლო 2 წელს შეუმორწმელებული ობიექტი;
- გ) საანგარიშო წელს მითითების შემსრულებელი ობიექტი;
- დ) საანგარიშო წელს ობიექტთან მიმართებაში შემოსული ინფორმაციის შემთხვევა;

ე) ლაბორატორიული კვლევის დადებითი შედეგი.

მაღალი რისკის ობიექტების მიმართ არ უნდა იქნეს გათვალისწინებული აღნიშნული კრიტერიუმები და განხორციელდეს მათი (ყველა არსებული მაღალი რისკის ობიექტის) მაღალისიხშირით შემოწმება (წლის განმავლობაში ორჯერ).

#### **4. ცხოველის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის მოსალოდნელი რისკების განსაზღვრისთვის ნიმუშების აღების დაგეგმვა ხდება შემდეგი პრინციპით:**

4.1. ვეტერინარული პრეპარატების ხარისხის მონიტორინგის მიზნით მოხდეს სულ რეგისტრირებული ვეტერინარული პრეპარატების არანაკლებ 10%-ს შესყიდვა და გამოკვლევა;

4.2. ფერმებში ცოცხალი ცხოველის ბიოლოგიურ სითხეებსა და ქსოვილებში, სასურსათო დანიშნულების ცხოველების საკვებში, ანაბოლური მოქმედების მქონე და აკრძალული ნივთიერების, ვეტერინარული პრეპარატების და სხვა დამაბინძურებლების (მედროქსიპროგესტერონი, პროგესტერონი, 17-ბეტა-ესტრადიოლი, ტესტოსტერონი, ეთინილ ესტრადიოლი, ტრემბოლოლიზერანოლი, ქლორამფენიკოლი, მეტრონიდაზოლი, რონიდაზოლი, ფურაზოლიდონი, ფურალტადონი, ნიტროფურაზონი, ნიტროფურანტონი, გენტამიცინი, სტრეპტომიცინი, ტეტრაციკლინი, ოქსიტეტრაციკლინი, *ალბენდაზოლი*, *ლევომიზოლი*), მათ შორის მალაქიტის მწვანის, ლეუკომალაქიტის მწვანის, კრისტალური იისფერის, ლეუკოკრისტალური იისფერისა და აფლატოქსინი B1-ის გამოვლენის მონიტორინგის მიზნით, დადგენილი ჯგუფის ნივთიერებებზე, მომავალი წლისთვის გამოსაკვლევი სასურსათო დანიშნულების ცხოველების რაოდენობის განსაზღვრა განხორციელდეს საანგარიშო წელს დაკლული ცხოველების რაოდენობიდან, ხოლო აღნიშნული ჯგუფის თითოეული ქვეჯგუფის ნივთიერებების გამოკვლევა ჩატარდეს ამ ჯგუფისთვის ასაღები ნიმუშების რაოდენობის არანაკლებ 5%-ში;

4.3. შინაური ბინადარი ცხოველის საკვებისა უვნებლობის მონიტორინგის მიზნით სალმონელასა და ენტერობაქტერიების კვლევისთვის აღებული და გამოკვლეული იქნება შინაური ბინადარი ცხოველის გადამუშავებული საკვების საწარმოდან 5 ნიმუში 5 სხვადასხვა პარტიიდან, თევზის ფქვილის საწარმოებიდან 5 ნიმუში, ასევე მესამე კატეგორიის მასალიდან მიღებული ცხიმის გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოდან 5 ნიმუში.

4.4. სასურსათო დანიშნულების მცენარეული და ცხოველური წარმოშობის ცხოველის საკვებში პესტიციდების ნარჩენების მაქსიმალური დონის გამოვლენის მიზნით

დამამზადებელ საწარმოში აღებული და გამოკვლეული იქნეს ცხოველის საკვების ნიმუშები 3 მაჩვენებელზე.

#### 5. 2026 წელს გეგმური ინსპექტირებას დაექვემდებარება:

- ა) ეკონომიკური საქმიანობის რეესტრში არსებული 932 საცალო და საბითუმო ვეტერინარული ავთიაქების 50 % - სულ 466 ობიექტი;
- ბ) სპეციალურ კონტროლს დაექვემდებარებული ფსიქოტროპული პრეპარატების გამომყენებელი ცხოველთა ჭერის და ვეტერინარული სამსახურების 100%-სულ 67 ობიექტი;
- გ) სურსათის ეროვნული სააგენტოს რეესტრში არსებული 370 აკვაკულტურის პირველადი წარმოების 70%-სულ 259 ობიექტი (აკვაკულტურის ბიზნესოპერატორი);
- დ) ეკონომიკური საქმიანობის რეესტრში რეგისტრირებული სხვა პირველადი წარმოების 1816 ობიექტის 30% -სულ 545 ობიექტი;
- ე) აღიარებული პირველადი წარმოების 100%-17 ობიექტი;
- ვ) ეკონომიკური საქმიანობის რეესტრში რეგისტრირებული ვეტერინარული პრეპარატების საწარმოს 100%-2 ობიექტი;
- ზ) ეკონომიკური საქმიანობის რეესტრში რეგისტრირებული ცოცხალი ცხოველების სარეალიზაციო აგრარული ბაზრები/ბაზრობების 100%-21 ობიექტი;
- თ) აღიარებული თევზის ფქვილის გადამამუშავებელი საწარმოების 100%-5 ობიექტი;
- ი) შინაური ბინადარი ცხოველების გადამამუშავებული საკვების მწარმოებელი აღიარებული საწარმოს 100%-6 ობიექტი;
- კ) სასურსათო დანიშნულების ცხოველის მზა საკვების მწარმოებელი აღიარებული საწარმოების 100%-6 ობიექტი;
- ლ) ეკონომიკური საქმიანობის რეესტრში რეგისტრირებული სასურსათო დანიშნულების ცხოველის საკვების და შინაური ბინადარი ცხოველების გადამამუშავებული საკვების მწარმოებელი 41 საწარმოს 50%- სულ 21 ობიექტი;
- მ) ტყავის თრიმვლა და დამამუშავების განმახორციელებელი/შემგროვებელი ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში რეგისტრირებული საწარმოების 100 % -2 ობიექტი;
- ნ) ეკონომიკური საქმიანობის რეესტრში რეგისტრირებული 208 ზოომდაზიის 40% -84 ობიექტი;
- ო) ეკონომიკური საქმიანობის რეესტრში რეგისტრირებული 68 ვეტერინარული დაწესებულებების 70%-48 ობიექტი
- პ) ეკონომიკური საქმიანობის რეესტრში რეგისტრირებული 16 ცხოველების

მოვლისა და ჰიგიენური მომსახურების (გრუმინგი) ობიექტის 100 %-16 ობიექტი;

ჟ) კულინარიული ცხიმების შემგროვებელი 2 ობიექტი;

რ) ცხოველური ცხიმის შემგროვებელი და გადამამუშავებელი 1 საამქრო.

ს) ცხოველის საკვების საწარმოს კარგი ჰიგიენის პრაქტიკის, საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების (HACCP) სისტემის აუდიტი -13 და 2026 წელს ცხოველის საკვების საწარმოში დანერგილი კარგი ჰიგიენის პრაქტიკის, საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების (HACCP) სისტემის აუდიტი;

ტ) მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის სადგომი/დროებითი სადგომები და საფუტკრე მეურნეობები, რომლებიც რეგისტრირებულია მონაცემთა ერთიან ბაზაში:

ტ.ა) მსხვილფეხა საქონლის სადგომის/დროებითი სადგომის არანაკლებ 1%;

ტ.ბ) წვრილფეხა საქონლის სადგომის/დროებითი სადგომის არანაკლებ 1% და იდენტიფიცირებული წვრილფეხა საქონლის სულადობის არანაკლებ 1,5%;

ტ.გ) საფუტკრე მეურნეობების არანაკლებ 1%.

## 5.2. 2026 წელს გაგრძელდება მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია და საფუტკრე მეურნეობის რეგისტრაცია.

რადგან საჭიროა ინდივიდუალურ ცხოველზე ჩატარებული მანიპულაციების მონაცემთა ერთიან ბაზაში აღრიცხვა და შემდგომ ეფექტური კონტროლის განხორციელება, წვრილფეხა საქონლის იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია, საჭიროა, მომდევნო წლებში გაგრძელდეს ელექტრო საყურე ნიშნების (RFID) გამოყენების დანერგვა.

2026 წელს განხორციელდება: 90 000 სული წვრილფეხა საქონლის იდენტიფიკაცია დაბალ სიხშირიანი ელექტრონული (RFID) საყურე ნიშნის გამოყენებით (გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) რეკომენდაციით) წვრილფეხა საქონლის ბრუცელოზის ვაქცინაციის მიმდინარეობის პარალელურად. პასუხისმგებელი პირების განაცხადის საფუძველზე მოხდება საორიენტაციოდ 450 000 სული წვრილფეხა საქონლის იდენტიფიკაცია (არაელექტრონული საყურე ნიშნით), რაც საორიენტაციოა და ეყრდნობა სააგენტოს მიერ გამხორციელებული იდენტიფიკაციის ბოლო სამი წლის საშუალო მონაცემებს. ასევე მასიურად განხორციელდება დასავლეთ საქართველოში საორიენტაციოდ 15 000 სული წვრილფეხა საქონლის იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია, რაც ეყრდნობა სურსათის ეროვნული სააგენტოს რეგიონული დეპარტამენტების მიერ მოწოდებულ მონაცემებს.

2024 წელს საქართველოში განხორციელდა მსხვილფეხა საქონლის მასიური იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია, რაც ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის მიზნით სხვა

დაგეგმილ აქტივობების პარალელური რეჟიმის გარდა მიმდინარეობდა დამოუკიდებლადაც, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, ასევე სადგომების GPS კორდინატებით აღწერა, სულ არასრული მონაცემებით იდენტიფიცირებულია 780 000 სული.

2026 წელს განხორციელდება 350 000 სული მსხვილფეხა საქონლის იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით, არსებულ ცხოველებში მოსალოდნელი ნამატის გათვალისწინებით.

ვინაიდან საქართველოში არ არის ჩამოყალიბებული მსხვილფეხა საქონლის ორგანიზებული ფერმერული მეურნეობები მონაცემთა ერთიან ბაზაში ინფორმაციის განახლება/სრულყოფისათვის ამ ეტაპზე მიზანშეწონილია ცხოველთა სადგომებზე არსებული იდენტიფიცირებული ცხოველების ინვენტარიზაცია განხორციელდეს სურსათის ეროვნული სააგენტოს რესურსებით. აღმოსავლეთ საქართველოში, სადგომებზე ცხოველთა ინვენტარიზაცია განხორციელდება სხვა ვეტერინარული მანიპულაციების პარალელურად. ხოლო დასავლეთ საქართველოში, სადაც ცხოველთა ჯამრთელობის დაცვის მიზნით არ არის სხვა აქტივობები განსაზღვრული, იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის და სადგომების ინვენტარიზაციის პროცესი გაგრძელდება სხვა ღონისძიებებისგან დამოუკიდებლადაც.

## **6. ზედამხედველობა განხორციელდება:**

- ა) საკარანტინო ღონისძიებების მიმდინარეობაზე;
- ბ) გადამდები დაავადებებისა და მასობრივი არაგადამდები დაავადებების საწინააღმდეგო ღონისძიებებზე;
- გ) არარეგისტრირებული, ვადაგასული და გამოსაყენებლად უვარგისად მიჩნეული ვეტერინარული პრეპარატების განადგურებაზე;
- დ) ცხოველური წარმოშობის არასასურსათო დანიშნულების პროდუქტის, მათ შორის მადბ-ს განკარგვა/განთავსებაზე;
- ე) ცხოველთა გადაყვანა-გადარეკვის მიმდინარეობაზე (მათ შორის, სეზონურ სამოვრებზე);
- ვ) უვარგისად მიჩნეული ცხოველის საკვების განადგურებაზე;
- ზ) ბიზნესოპერატორის მიერ სააგენტოს მითითებების შესრულებაზე.
- თ) საექსპორტოდ განკუთვნილი ცოცხალი ცხოველების და არასასურსათო დანიშნულების ცხოველური წარმოშობის პროდუქტის სერტიფიცირებაზე.
- ი ) ცოცხალი ცხოველების, მეცხოველეობის არასასურსათო დანიშნულების პროდუქტის გადაზიდვის დროს გამოსაყენებელი ვეტერინარული მოწმობების და სერტიფიკატების გაცემასა და გამოყენებაზე.

**7. მონიტორინგი ცხოველთა ჯანმრთელობაზე (ვაქცინაცია, საველე გამოკვლევები ნიმუშების აღება):**

ა) მონიტორინგი ეტაპობრივად განხორციელდება ცხოველთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესწავლის, დაცვის და რისკის შეფასების მიზნით შემდეგ დაგეგმილ ღონისძიებებზე:

ა.ბ) წვრილფეხა საქონელში ბრუცელოზზე პოსტვაქცინალური ანტისხეულების აღმოჩენა - 250 ნიმუში;

ა.გ) მსხვილფეხა საქონელში ბრუცელოზის პრევალენტობაზე ფონის შესწავლა - 4 000 ნიმუში;

ა.დ) ქვეყანაში ცოფის დაავადებაზე ფონური მაჩვენებლის განსაზღვრის მიზნით პოსტვაქცინალური ანტისხეულების აღმოჩენა – 100 ნიმუში;

ა.ე) თურქულზე არასტრუქტურული პროტეინის (NSP ანტისხეული) აღმოჩენა- 4,000 ნიმუში;

ა.ვ) თურქულზე სტრუქტურული პროტეინის (SP ანტისხეული) აღმოჩენა – სავარაუდოდ 500 ნიმუში;

ა.ზ) ცხვრის კატარალური ცხელებაზე ანტისხეულის აღმოჩენა (მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი) - 1000 ნიმუში;

ა.თ) წვრილფეხა პირუტყვის ჭირის ვირუსის ცირკულაციის შესწავლა - 500 ნიმუში;

ა.ი) ღორის ვეზიკულური დაავადება - 215 ნიმუში;

ა.კ) ექინოკოკოზი და მისი აგენტების მონიტორინგის ფარგლებში დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა - 350 ნიმუში;

ა.ლ) ფრინველებში კამპილობაქტერიოზის და მისი აგენტების მონიტორინგის ფარგლებში დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა - 73 ნიმუში;

ა.მ) მსხვილფეხა საქონელში კამპილობაქტერიოზის და მისი აგენტების მონიტორინგის ფარგლებში დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა - 73 ნიმუში;

ა.ნ) ლისტერიოზი და მისი აგენტების მონიტორინგის ფარგლებში დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა - 73 ნიმუში;

ბ) თურქული (Food and Mouth Disease) - წყვილჩლიქიანი შინაური და გარეული ცხოველების

მაღალკონტაგიოზური, განაკუთრებით საშიში პათოგენით გამოწვეული ვირუსული ინფექციური დაავადებაა, რომელიც ხასიათდება ცხელებით, პირის ღრუს ლორწოვანი გარსის, ცურის, კანის და ჩლიქთაშორის ნაპრალის აფთოზური დაზიანებით. თურქული ფიქსირდება საქართველოს სამხრეთით, სამხრეთ-აღმოსავლეთითა და ჩრდილოეთით მდებარე ქვეყნებში. მიმდინარე და გასულ წლებში ახალი ეპიდემიებით გამოწვეული კერები დაფიქსირდა თურქეთის რესპუბლიკაში უშუალოდ საქართველოს მოსაზღვრე ტერიტორიებზე. ამასთანავე საქართველოში თურქულის დაავადების შემოჭრა/გავრცელების რისკი მაღალია ქვეყნის, სატრანზიტო ფუნქციიდან და მეცხოველეობის გაძღოლის არსებული მომთაბარე სისტემიდან გამომდინარე. საზღვრისპირა ტერიტორიებზე არსებულ ზამთრისა და ზაფხულის სამოვრებზე ცხოველთა მიგრაციის პერიოდში ასობით ათასი საქონელი გადაადგილდება სხვადასხვა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ტერიტორიების გავლით რამოდენიმე ასეულ კილომეტრზე, რა დროსაც ხდება მათი უშუალო კონტაქტირება აბორიგენ საქონელთან. ასევე რისკის კატეგორიას მიეკუთვნება დროებით ოკუპირებული არაკონტროლირებადი ტერიტორიები, (2011 წელს სამაჩაბლოს, ე.წ „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“ ტერიტორიაზე დაფიქსირებული იყო თურქულის შემთხვევა) 2023 წლის 2 თებერვალს დაავადება თურქულის კონტროლის ევროპული კომისიისაგან (EuFMD) მიღებული იქნა ინფორმაცია ერაყში თურქულის ეგზოტიკური SAT2 სეროტიპით გამოწვეული დაავადების დადასტურების შესახებ (ეს სეროტიპი ენდემურია აფრიკის ქვეყნებისათვის), ხოლო მარტის თვეში დაავადების აფეთქებები დაფიქსირებული იქნა თურქეთში, მათ შორის საქართველოს მოსაზღვრე ტერიტორიებზე, გამომდინარე აღმძვრელი ვირუსის ბუნებიდან, დაავადების გადაცემის მექანიზმებიდან და გამომდინარე იქიდან, რომ ქვეყანაში არსებული ამთვისებელი ცხოველები აბსოლუტურად სტერილური იყო თურქულის ვირუსის აღნიშნული სეროტიპის მიმართ, ეპიზოოტიური სიტუაციის გართულების თავიდან არიდების მიზნით, სააგენტომ 2023 წლიდან განახორციელა SAT2 სეროტიპის შემცველი ვაქცინების გამოყენება.

2025 წლის 14 აპრილს დაავადება თურქულის კონტროლის ევროპული კომისიისაგან (EuFMD) მიღებული იქნა ინფორმაცია ერაყში თურქულის ეგზოტიკური SAT-1 სეროტიპით გამოწვეული დაავადების დადასტურების შესახებ. ხოლო 2025 წლის მაისს მიღებული იქნა ინფორმაცია თურქულის SAT-1 სეროტიპით დაავადების აფეთქებების დაფიქსირება თურქეთში. ხოლო 2025 წლის ოქტომბერში უშუალოდ საქართველოს საზღვართან აზერბაიჯანის რესპუბლიკაში დაფიქსირდა SAT-1 სეროტიპით გამოწვეული დაავადება.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, არსებობს საქართველოს ტერიტორიაზე მისი შემოჭრისა და დაავადების ამთვისებელ არაიმუნიზირებული ცხოველების შემთხვევაში სწრაფი და ფართო გავრცელების რეალური საშიშროება, რაც მნიშვნელოვან ეკონომიკურ ზარალს მიაყენებს ცხოველთა მეპატრონეებს, ფერმერებს და გამოიწვევს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების მკვეთრ შემცირებას. ამასთანავე ქვეყანას საერთაშორისო და ქვეყნის კანონმდებლობით დაეკისრება ვალდებულება გაატაროს საკარანტინო-შემზღუდავი და სალიკვიდაციო ღონისძიებები, რაც დაკავშირებული იქნება დიდ ფინანსურ დანახარჯებთან. დაავადების აღმოფხვრამდე შეიზღუდება ექსპორტი და ტრანზიტი, რაც შეაფერხებს საერთაშორისო ვაჭრობას. ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე თურქულის რისკზე დაფუძნებული სტრატეგიის (OCP) შესაბამისად რისკის ზონებში 2026 წლის პირველ და მეორე ნახევარში ვაქცინირებული იქნება სავარაუდოდ 1 100 000 სული მსხვილფეხა საქონელი (მათ შორის წლის განმავლობაში მოზარდ საქონელს ჩაუტარდება დამატებითი (ბუსტერი) დოზა) და 840 000 სული წვრილფეხა საქონელი (მათ შორის მოზარდ საქონელს ჩაუტარდება დამატებითი (ბუსტერი) დოზა). საჭიროების შემთხვევაში, განხორციელდება ღორების ვაქცინაცია. აგრეთვე გათვალისწინებულია ვაქცინის რეზერვის შექმნა (აღნიშნული გეგმის შესრულების შესაძლო ცდომილებით  $\pm 10 - 15\%$ );

გ) ჯილეხი (Anthrax) - განაკუთრებით საშიში პათოგენით გამოწვეული ზოონოზური ინფექციური დაავადებაა. ჯილეხით ავადდება მრავალი სახის შინაური და გარეული ცხოველი, აგრეთვე ადამიანი. გასულ წლებში ცხოველებში ლაბორატორიულად დაფიქსირდა: 2009 წელს 12 შემთხვევა, 2010 წელს-8, 2011 წელს-31, 2012 წელს-36, 2013 წელს -40, 2014 წელს-19, 2015 წელს-29, 2016 წელს-17, 2017 წელს-15, 2018 წელს - 11, 2019 წელს 6 შემთხვევა, 2020-წელს 20 შემთხვევა ცხოველებში, 2021-წელს 4 ცხოველის და 1 ნიადაგის შემთხვევა, 2022-წელს 16 ცხოველის შემთხვევა, 2023-წელს 4 ცხოველის შემთხვევა. 2024-წელს 4 ცხოველის შემთხვევა. 2025-წელს (არასრული მონაცემი) 5 ცხოველის შემთხვევა. ჯილეხით ადამიანი დაავადდა: 2009 წელს -38, 2010 წელს-28, 2011 წელს-81, 2012 წელს-110, 2013 წელს-144, 2014 წელს-57, 2015 წელს-57, 2016 წელს-27, 2017 წელს-34 (მათ შორის 2 ლეტალური შედეგით), 2018 წელს 25 ადამიანი, 2019 წელს- 10 შემთხვევა; 2020 წელს 16 დადასტურებული და 14 სავარაუდო შემთხვევა; 2021 წელს 11 დადასტურებული და 2 სავარაუდო შემთხვევა; 13 ადამიანი, 2022 წელს 15 დადასტურებული და 8 სავარაუდო შემთხვევა; 2023-წელს 5 დადასტურებული და 1 სავარაუდო შემთხვევა; 2024 წელს 2 დადასტურებული შემთხვევა და 4 სავარაუდო; 2025 წელს 3 დადასტურებული და 8

სავარაუდო შემთხვევა;

ცხოველის დაავადების ყოველი ახალი შემთხვევა ქმნის ახალ ნიადაგობრივ კერას, რომელიც რისკის მატარებლად რჩება ათეულობით წელი. დაავადება იწვევს დიდ ეკონომიურ ზარალს ცხოველთა მეპატრონეებსა და ფერმერებში, რაც გამოიხატება დაავადებული ცხოველების სიკვდილიანობით, დაავადების კერებში სალიკვიდაციო ღონისძიებების გატარებაზე გაწეული ხარჯებით (იძულებითი აცრები, დეზინფექციები, დაცემული ცხოველების განადგურება და ა.შ.). დაავადებული ცხოველების და მათგან მიღებული ცხოველური პროდუქტებით ასევე შესაძლებელია დაავადდნენ ადამიანებიც. სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ 2012 წლის მეორე ნახევრიდან განხორციელებული სპეციფიკური ღონისძიებების შედეგად ცხოველებსა და ადამიანებში შეინიშნება დაავადების გამოვლინების კლების ტენდენცია. ცხოველების და, შესაბამისად, ადამიანების დაავადების პრევენციის მიზნით და მოსალოდნელი საფრთხეების გათვალისწინებით (ჯილენზე ისტორიულად არაკეთილსაიმედო ტერიტორიები, ჯანდაცვის ორგანოების მონაცემებით ადამიანების დაავადების ფაქტების არსებობა, გადასარეკი ტრასის და მიმდებარე დასახლებულ პუნქტებში/ფერმებში არსებული ცხოველები, მუნიციპალიტეტებში, სადაც ეპიზოოტიური სიტუაცია გართულებულია) 2026 წელს ჩატარდება სავარაუდოდ 350 000 სული მსხვილფეხა, 550 000 სული წვრილფეხა საქონელისა და 2500 სული კენტჩლიქიანი ცხოველის ჯილენის საწინააღმდეგო ვაქცინაცია (აგრეთვე გათვალისწინებულია ვაქცინის რეზერვის შექმნა (აღნიშნული გეგმის შესრულების შესაძლო ცდომილებით  $\pm 10 - 15\%$ ).

დ) ცოფი (Rabies) – ზოონოზური, უკურნებელი ვირუსული ინფექციური დაავადებაა. ცოფით ავადდება ყველა თბილსისხლიანი ცხოველი, აგრეთვე ადამიანი. ინფექციის გავრცელების ძირითადი წყაროა: ძაღლი, კატა და სხვა სახეობის ხორცისმჭამელი ცხოველები, ამიტომ მნიშვნელოვანია ცოფთან ბრძოლის კომპლექსურ ღონისძიებათა გატარება, მათ შორის ცოფის ამთვისებელი შინაური ბინადარი ცხოველების (ძაღლი, კატა) ვაქცინაცია. გასულ წლებში ცხოველებში ლაბორატორიული გამოკვლევებით დაფიქსირდა: 2009 წელს ცოფით დაავადების 153 შემთხვევა, 2010 წელს-97 შემთხვევა, 2011 წელს-69 შემთხვევა, 2012 წელს-135 შემთხვევა, 2013 წელს-116 შემთხვევა, 2014 წელს- 119 შემთხვევა, 2015 წელს-103 შემთხვევა, 2016 წელს-53 შემთხვევა, 2017 წელს - 40 შემთხვევა, 2018 წელს -47 შემთხვევა, 2019 წელს - 50 შემთხვევა, 2020 წელს 54 შემთხვევა, 2021 წელს 40 შემთხვევა, 2022 წელს 31 შემთხვევა, 2023 წელს 81 შემთხვევა. ხოლო 2024 წელს 26 შემთხვევა, 2025 წელს 7 შემთხვევა (არასრული მონაცემები).

ცოფით (ჰიდროფობიით) გარდაცვლილია: 2009 წელს - 6 ადამიანი, 2010 წელს - 5, 2011 წელს - 3, 2012 წელს - 3, 2013 წელს - 4, 2014 წელს - 4, 2015-2017 წლებში ადამიანის გარდაცვალების შემთხვევას ადგილი არ ჰქონია, 2018 წელს გარდაიცვალა 2 ადამიანი, 2019 წელს გარდაიცვალა 1 ადამიანი, 2020 წელს ადამიანის გარდაცვალების შემთხვევას ადგილი არ ჰქონია. 2021 წელს გარდაიცვალა 1 ადამიანი, 2022 წელს გარდაიცვალა 1 ადამიანი, 2023-წელს ჰიდროფობიის შემთხვევას ადგილი არ ჰქონია, 2024 წელს გარდაიცვალა 1 ადამიანი, 2025 წელს ჰიდროფობიის შემთხვევას ადგილი არ ჰქონია. დაავადებას აქვს როგორც ეკონომიკური, ასევე სოციალური მნიშვნელობა. 2014 წლიდან განხორციელებული ინტენსიური სპეციფიკური ღონისძიებების შედეგად აღინიშნება პოზიტიური შედეგები და ეპიზოოტიური და ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება. 2026 წელს ცოფის დაავადებაზე ზედამხედველობის განხორციელების მიზნით ვაქცინაცია ჩატარდება ქვეყნის მაშტაბით სავარაუდოდ 280 000 სულ ძაღლსა და კატას (აღნიშნული გემის შესრულების შესაძლო ცდომილებით  $\pm 10 - 15\%$ ). გათვალისწინებულია ასევე ვაქცინის რეზერვის შექმნა. აგრეთვე განხორციელდება ცხოველების მიერ ადამიანის დამზარალებელ ცხოველზე 10 დღიანი, ასევე საკარანტინო ზონებში ვეტერინარული ზედამხედველობა;

ე) მსხვილფეხა საქონლის ნოდულარული დერმატიტი (Lumpy Skin Disease) - ვირუსული ინფექციური დაავადებაა. 2014 წელს დაავადების შემთხვევები აღინიშნა აზერბაიჯანის რესპუბლიკასთან მოსაზღვრე მუნიციპალიტეტებში. უკანასკნელ პერიოდში ცხოველთა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WOAH) ოფიციალურ ინფორმაციაზე დაყრდნობით მსხვილფეხა საქონლის ნოდულარული დერმატიტი დაფიქსირებულია საქართველოს მოსაზღვრე თურქეთის, აზერბაიჯანის, სომხეთის რესპუბლიკებში და რუსეთში მათ შორის ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებში. ხოლო 2015-2016 წლებში მნიშვნელოვნად გაფართოვდა მსხვილფეხა საქონლის ნოდულარული დერმატიტის გამოვლინების არეალი და მან მოიცვა აღმოსავლეთ ევროპის რიგი ქვეყნები: საბერძნეთი, მაკედონია, ალბანეთი, ბულგარეთი, მონტენეგრო, სერბეთი. 2017 წელს დაავადების გამოვლინებებს ადგილი ქონდა ასევე აფხაზეთის დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზეც. აღნიშნულმა ვითარებამ გარკვეულწილად ზეგავლენა იქონია ჩვენი ქვეყნის ჩრდილო და დასავლეთ რეგიონების რიგ სოფლებზე. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ 2018 წელს ქვეყანაში ადგილი ჰქონდა დაავადების გამოვლინებებს. დაავადებაზე კონტროლის განხორციელებაში ასევე დახმარება აღმოგვიჩინა ევროკავშირმა (გრანტის სახით 2018 და 2020 წლებში გადმოცემული იქნა ჯამში 400 000 დოზა ვაქცინა). დაავადებას ახასიათებს დიდი ეკონომიკური ზარალი, რაც გამოიხატება დაავადებული ცხოველების სიკვდილიანობით და ცხოველური პროდუქტების

ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუარესებით და რაოდენობრივი კლებით. სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ბოლო წლებში განხორციელებული სპეციფიკური ღონისძიებების შედეგად ცხოველებში დავადების კლინიკური და ლაბორატორიული გამოვლინება ამ ეტაპისთვის აღარ შეინიშნება. 2026 წელს გათვალისწინებულია საჭიროებიდან გამომდინარე ვაქცინის რეზერვის შექმნა, რომელიც გამოყენებული იქნება რისკების შესაბამისად;

ვ) ცხვრისა და თხის ყვავილი (Sheep and Goat Pox) - ვირუსული ინფექციური დაავადებაა. მეცხვარეობაში იწვევს დიდ ეკონომიკურ ზარალს, რაც გამოიხატება პროდუქტიულობის დაქვეითებით, სიკვდილიანობით, განსაკუთრებით მოზარდ ცხოველებში და დაავადებული ცხოველების მკურნალობაზე გაწეულ ხარჯებში. 2024 წელს ქვეყანაში დაფიქსირდა ცხვრისა და თხის ყვავილის გამოვლინების შემთხვევები, სააგენტოს მიერ განხორციელებული იქნა დაავადების სალიკვიდაციო ღონისძიებები, რის შემდგომაც ცხოველებში კლინიკური გამოვლინების შემთხვევებს ადგილი არ ჰქონია. მიუხედავად აღნიშნულისა დაავადების აღმძვრელის გავრცელების თავისებურებისა და ქვეყანაში წვრილფეხა პირუტყვის შენახვის პირობებიდან გამომდინარე, ყვავილის საწინააღმდეგოდ 2026 წელს განხორციელდება წვრილფეხა საქონლის ვაქცინაცია/რევაქცინაცია, საორიენტაციოდ სულ 840 000 მანიპულიაცია. (აღნიშნული გეგმის შესრულების შესაძლო ცდომილებით  $\pm 10 - 15\%$ ).

ზ) წვრილფეხა საქონლის ჭირი (Peste des Petits Ruminants – PPR) - ვირუსული ინფექციური დაავადებაა, რომელსაც ახასიათებს სწრაფი გავრცელება და მაღალი სიკვდილიანობა (დაახლოვებით 50-100%) განსაკუთრებით მოზარდში, რის გამოც მეცხვარეობაში იწვევს დიდ ეკონომიკურ ზარალს. ცხოველთა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WOAH) ოფიციალურ ინფორმაციაზე დაყრდნობით დაავადება დაფიქსირებულია თურქეთის და ირანის ისლამურ რესპუბლიკაში. დაავადება ქვეყანაში დაფიქსირდა 2016 წელს. დაავადების მაღალკონტაგიოზურობიდან გამომდინარე 2016 წელს ჩატარებული იქნა წვრილფეხა საქონლის მასიური ვაქცინაცია და მოზარდის რევაქცინაცია, ძირითადად ქვეყნის აღმოსავლეთ რეგიონებში. დაავადების განმეორებითი ეპიდაფეთქების თავიდან აცილების მიზნით საერთაშორისო ორგანიზაციების (WOAH, FAO) ექსპერტების რეკომენდაციით 2017-2023 წლებში ვაქცინაცია უტარდებოდა დაახლოვებით 350 000 სულამდე მოზარდ წვრილფეხა საქონელს ქვეყნის აღმოსავლეთ რეგიონებში, სადაც ინტენსიურად განვითარებულია მომთაბარე მეცხვარეობის ინდუსტრია. 2024 წელს რეგიონში გართულებული იქნა ეპიზოოტიური მდგომარეობა, რამაც გარკვეულწილად იმოქმედა

ქვეყანაში არსებულ მდგომარეობაზე. 2024 წელს ქვეყანაში დაფიქსირდა წვრილფეხა საქონლის ჭირის შემთხვევები, სააგენტოს მიერ განხორციელებული იქნა დაავადების სალიკვიდაციო ღონისძიებები, ასევე 2025 წელს ჩატარებული იქნა 1 020 000- მდე მანიპულაცია. რის შედეგადაც დღეის მდგომარეობით ცხოველებში კლინიკური გამოვლინების შემთხვევებს ადგილი არ ჰქონია. დაავადების საწინააღმდეგოდ 2026 წელს საჭიროებიდან გამომდინარე მოხდება ვაქცინის რეზერვის შექმნა, რომელიც გამოყენებული იქნება რისკების შესაბამისად;

თ) ბრუცელოზი (Brucellosis) - ქრონიკულად მიმდინარე ინფექციური დაავადებაა, რომელიც ცხოველებში ხასიათდება აბორტებით, მომყოლის შეჩერებით, ენდომეტრიტებით და აღწარმოებითი უნარის მოშლით. ბრუცელოზით ავადდება მრავალი სახის ცხოველი, აგრეთვე ადამიანიც, შესაბამისად დაავადებას გააჩნია სოციალური მნიშვნელობა. ადამიანებში ეს დაავადება მიმდინარეობს მძიმედ და რთულად განკურნებადია. გასულ წლებში სააგენტოს ხელთ არსებული ინფორმაციის საფუძველზე ცხოველებში დაფიქსირდა შემდეგი მდგომარეობა: 2014 წელი - გამოკვლეული 126 515 სული დადებითად მორეაგირე 2 506 სული; 2015 წელი - გამოკვლეული 65 626 სული დადებითად მორეაგირე 1 013 სული; 2016 წელი - გამოკვლეული 193 517 სული დადებითად მორეაგირე 4 339 სული; 2017 წელი - გამოკვლეული 153 063 სული დადებითად მორეაგირე 2 341 სული; 2018 წელი - გამოკვლეული 428 სული დადებითად მორეაგირე 121 სული; 2019 წელი - გამოკვლეული 229 168 სული დადებითად მორეაგირე 318 სული; 2020 წელი - გამოკვლეული 301 სული დადებითად მორეაგირე 81 სული; 2021 წელი - გამოკვლეული 2 160 სული დადებითად მორეაგირე 314 სული; 2022 წელი - გამოკვლეული 2 480 სული დადებითად მორეაგირე 181 სული; 2023 წელი - გამოკვლეული 4 826 სული დადებითად მორეაგირე 405 სული; 2024 წელი - გამოკვლეული 3 030 სული დადებითად მორეაგირე 331 სული. გასულ წლებში ადამიანებში ლაბორატორიულად დაფიქსირდა: 2009 წელს 173 შემთხვევა, 2010 წელს -198, 2011 წელს-165, 2012 წელს-133, 2013 წელს-186, 2014 წელს -282, 2015 წელს -205, 2016 წელს -203, 2017 წელს - 202, 2018 წელს 177 შემთხვევა, 2019 წელს 188 შემთხვევა, 2020 წელს 125 შემთხვევა, 2021 წელს 130 შემთხვევა, 2022 წელს 217 შემთხვევა, 2023 წელს 271 შემთხვევა, ხოლო 2024 წელს 222 შემთხვევა.

2026 წელს ბრუცელოზის საწინააღმდეგო ვაქცინაცია ჩაუტარდება:

- სავარაუდოდ 150 000 სულამდე მსხვილფეხა საქონელს გარდა რაჭა-ლეჩხუმ ქვემო სვანეთის რეგიონისა.

- აღმოსავლეთ საქართველოში 90 000 სულამდე მოზარდ წვრილფეხა საქონელს.

(აღნიშნული საორიენტაციო გეგმების შესრულების შესაძლო ცდომილებით  $\pm 10-15\%$ ).

ო) ტუბერკულოზი (Tuberculosis) - მრავალი სახის ცხოველისა და ფრინველის ქრონიკულად მიმდინარე ინფექციური დაავადებაა, ავადდება ადამიანიც. დაავადებას აქვს როგორც ეკონომიური ასევე სოციალური მნიშვნელობა. 2008 წლის შემდგომ 2017 წელს პირველად განხორციელდა მსხვილფეხა საქონლის ტუბერკულინიზაცია, გამოკვლეული იქნა 7 064 სული, დადებითად მორეაგირე აღმოჩნდა 18 სული მსხვილფეხა საქონელი. 2018 წელს გამოკვლეული იქნა 10 095 სულზე მეტი, დადებითად მორეაგირე აღმოჩნდა 43 სული მსხვილფეხა საქონელი, ხოლო, 2019 წელს გამოკვლეული იქნა 10 040 სულამდე საქონელი, დადებითად მორეაგირე გამოვლინდა 26 სული მსხვილფეხა საქონელი, 2020 წელს გამოკვლეული იქნა 10 293 სულამდე საქონელი დადებითად მორეაგირე გამოვლინდა ერთი სული, 2021 წელს გამოკვლეული იქნა 1600 სულამდე საქონელი, დადებითად მორეაგირე გამოვლინდა 2 სული, 2022-2025 წლებში ყოველწლიურად გამოკვლეული იქნა 10 000 სულამდე საქონელი, დადებითად მორეაგირე არ გამოვლენილა.

უცხოელი ექსპერტების რეკომენდაციის შესაბამისად 2026 წელს დაავადებაზე ზედამხედველობა გაგრძელდება ცხოველთა სასაკლაოებში, ტუბერკულოზზე საექვო ცხოველების ნიმუშები გამოკვლეული იქნება ლაბორატორიულად, ასევე ალერგიული მეთოდით ფერმებში განხორციელდება მსხვილფეხა საქონლის გამოკვლევა „მსხვილფეხა საქონლის ტუბერკულოზთან ბრძოლის სტრატეგიის, ტუბერკულოზის კონტროლისა და ერადიკაციის 2024-2028 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად.

კ) ყირიმ კონგოს ჰემორაგიული ცხელება (Crimean Congo Hemorrhagic Fever) ცხოველისა და ადამიანის ვირუსული დაავადებაა, რომელიც ადამიანებში მძიმედ მიმდინარეობს. ყირიმ კონგოს ჰემორაგიული ცხელებით დაავადებულ ცხოველს კლინიკური ნიშნები არ აღენიშნება, მაგრამ ვირემიის პერიოდში დაავადების გამავრცელებელია. დაავადება ძირითადად ვრცელდება ტკიპების (Hyalomma სახეობა) საშუალებით, რომელთაც შეხება ჰქონდათ დაავადებულ ცხოველთან. ტკიპმა ჯერ უნდა უკბინოს დაავადებულ ცხოველს (მსხვილფეხა, წვრილფეხა საქონელი და სხვა) რომლებიც ინფექციის ძირითად რეზერვუარს წარმოადგენენ და შემდეგ ადამიანს. ადამიანებში ლეტალობა 40% აღწევს. გასულ წლებში ადამიანებში ლაბორატორიულად დაფიქსირდა: 2012 წელს 1 შემთხვევა, 2013 წელს-13, 2014 წელს-24 (მათ შორის 3 ლეტალური შედეგით), 2015 წელს-9 (მათ შორის 2 ლეტალური შედეგით), 2016 წელს -6 (მათ შორის 2 ლეტალური შედეგით), 2017 წელს-5 შემთხვევა (მათ

შორის 2 ლეტალური შედეგით), 2018 წელს 12 შემთხვევა (მათ შორის 1 ლეტალური), 2019 წელს 8 შემთხვევა (მათ შორის 3 ლეტალური), 2020 წელს 19 შემთხვევა (მათ შორის 4 ლეტალური), 2021 წელს 24 შემთხვევა (მათ შორის 2 ლეტალური), 2022 წელს 47 შემთხვევა (მათ შორის 4 ლეტალური), 2023 წელს 48 შემთხვევა, 2024 წელს 19 შემთხვევა. 2025 წელს 17 შემთხვევა. როგორც სტატისტიკური მონაცემებიდან ჩანს ყოველწლიურად ფიქსირდება ადამიანის დაავადების შემთხვევები. სააგენტოს მიერ 2015 წელს ჩატარებული ღონისძიება შეიძლება ჩაითვალოს ადამიანებში დაავადების გამოვლინების კლების ერთ-ერთ მიზეზად (დაავადების შემთხვევებმა 2015 წელს 2014 წელთან შედარებით იკლო 43,4%-ით, ხოლო ლეტალობამ 25 %-ით). 2026 წლისთვის ყირიმ- კონგოს ჰემორაგიული ცხელების ეპიდემიოლოგიის მართვისა და პრევენციის მიზნით შეიქმნება ინსექტო-აკაროციდული პრეპარატის რეზერვი და ადამიანებში დაავადების დაფიქსირების შემთხვევებში ეპიდემიოლოგიურ კერებში ჩატარდება მსხვილფეხა საქონლის, დამუშავება;

ლ) ბლუთანგის დაავადებაზე მეზობელ ქვეყნებში (თურქეთი, რუსეთი) არსებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობიდან და ბლუთანგის აღმოფხვრისა და კონტროლთან დაკავშირებული სპეციალური წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 3 აგვისტოს №398 დადგენილების მოთხოვნათა გათვალისწინებით 2026 წელს ქვეყანაში გაგრძელდება მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის კვლევები და დაავადების გადამტანი ვექტორების იდენტიფიცირების მიზნით გამოჭერა.

#### **8. დოკუმენტური შემოწმება განხორციელდება:**

ა) დოკუმენტური შემოწმება ხორციელდება ინსპექტირებისა და მონიტორინგის დროს და ასევე, დამოუკიდებლად;

ბ) შემოწმების პრიორიტეტი ენიჭება ვეტერინარული პრეპარატების საცალო და საბითუმო ვაჭრობის და პირველადი წარმოების ობიექტებს. 932 ვეტერინარული პრეპარატების საცალო და საბითუმო ვაჭრობის ბიზნესოპერატორების 30%-ის - 280 და 2 186 პირველადი წარმოების 30%-ის - 656 ობიექტის გეგმური დოკუმენტური შემოწმება განხორციელდება წელიწადში ერთხელ); სულ წლის განმავლობაში განხორციელდება 935 გეგმური დოკუმენტური შემოწმება.

გ) არაგეგმური დოკუმენტური შემოწმება შესაძლებელია განხორციელდეს:

გ.ა) სახელმწიფო კონტროლის შედეგების საფუძველზე, მათ შორის, სააგენტოს მიერ აღებული ნიმუშის ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგების საფუძველზე;

გ.ბ) სახელმწიფო, ადგილობრივი თვითმმართველობის ან სამართალდამცავი ორგანოს

შეტყობინების საფუძველზე;

გ.გ) სხვა ქვეყნის კომპეტენტური ორგანოს ან საერთაშორისო ორგანიზაციის შეტყობინების საფუძველზე;

გ.დ) სააგენტოში შემოსული შეტყობინების საფუძველზე, რომელიც შემტყობინებელი პირისა და შეტყობინებით გათვალისწინებული ინფორმაციის იდენტიფიკაციის შესაძლებლობას იძლევა;

გ.ე) სხვა ობიექტური გარემოების არსებობისას, რომელმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას ადამიანის ან/და ცხოველის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

### 9. ვეტერინარული პრეპარატების ნიმუშების კვლევა:

2026 წელს ვეტერინარული პრეპარატების ხარისხის მონიტორინგის მიზნით განხორციელდება 206 (სულ ასაღები ნიმუშების რაოდენობა 211, აქედან 5 არაგეგმური) ვეტერინარული პრეპარატის გეგმური ნიმუშის აღება და ლაბორატორიული გამოკვლევა, რაც 2007-2025 წლებში სულ რეგისტრირებული 1915 ვეტერინარული პრეპარატის 11%-ია, ხოლო 2025 წელს (ნოემბრამდე) სულ რეგისტრირებული 418 ვეტერინარული პრეპარატის 49 %-ია. 211 გამოსაკვლევ ვეტერინარული პრეპარატის ნიმუშიდან 206 გეგმურად ასაღები ნიმუშია და 5 არაგეგმურად ასაღები ვეტერინარული პრეპარატების ნიმუში.

2026 წელს გეგმურად ასაღები ვეტერინარული პრეპარატების ნიმუშების რაოდენობა გაიზარდა წინა წელთან შედარებით. ეს გამომდინარეობს 2007-2025 წლებში დარეგისტრირებული ვეტერინარული პრეპარატების რაოდენობიდან. 2014-2018 წლებში გამოკვლეული 1042 ვეტერინარული პრეპარატის ნიმუშიდან 17 პრეპარატის ნიმუში იქნა უვარგისად მიჩნეული, ხოლო 2019-2025 წლებში გამოკვლეული ნიმუშიდან არც ერთი უვარგისად მიჩნეული არ იქნა.

ვეტერინარული პრეპარატების ხარისხის მონიტორინგის მიზნით რეგიონებში ვეტერინარული პრეპარატების შესყიდვა განხორციელდება ისე, რომ არ მოხდეს მუნიციპალიტეტებში ერთი და იმავე დასახელებისა და სერიის მქონე პრეპარატების აღება გამოსაკვლევად.

10. ბიოლოგიური სითხეების/ქსოვილების და სასურსათო დანიშნულების ცხოველის საკვების ნიმუშების კვლევა ანაბოლური მოქმედების მქონე და აკრძალული ნივთიერების, ვეტერინარული პრეპარატების და სხვა დამაბინძურებლების (მედროქსიპროგესტერონი, პროგესტერონი, 17-ბეტა-ესტრადიოლი, ტესტოსტერონი, ეთინილ ესტრადიოლი,

ტრემბოლოლი, ზერანოლი, ქლორამფენიკოლი, მეტრონიდაზოლი, რონიდაზოლი, ფურაზოლიდონი, ფურალტადონი, ნიტროფურაზონი, ნიტროფურანტონი, გენტამიცინი, სტრეპტომიცინი, ტეტრაციკლინი, ოქსიტეტრაციკლინი, ალბენდაზოლი, ლევომიზოლი), მათ შორის მალაქიტის მწვანის, ლეუკომალაქიტის მწვანის, კრისტალური იისფერის, ლეუკოკრისტალური იისფერის და აფლატოქსინი B1 -ის გამოვლენა.

ფერმაში ცოცხალი ცხოველებიდან (ბიოლოგიური სითხეები და ქსოვილები) და სასურსათო დანიშნულების ცხოველის საკვებში ანაბოლური მოქმედების მქონე და აკრძალული ნივთიერების, ვეტერინარული პრეპარატების და სხვა დამაბინძურებლების გამოსავლენად ნიმუშების კვლევა ხორციელდება საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 იანვრის №22 დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტი - ცოცხალ ცხოველებსა და ცხოველური წარმოშობის სურსათში ზოგიერთი ნივთიერებისა (სუბსტანციის) და მათი ნარჩენების მონიტორინგის წესი“-ს საფუძველზე. ფერმაში ცოცხალი ცხოველებიდან ასაღები ნიმუშების რაოდენობა გამომდინარეობს წინა წელს დაკლული შესაბამისი სახეობის ცხოველის რაოდენობიდან და წინა წელს ნაწარმოები აკვაკულტურის პროდუქციისგან ან რეგისტრირებული აკვაკულტურის ობიექტებიდან.

**მსხვილფეხა საქონელი-** მსხვილფეხა საქონლის მინიმალური რაოდენობა, რომელიც ყოველწლიურად უნდა გაკონტროლდეს ყველა სახეობის ნარჩენებსა და ნივთიერებებზე (სუბსტანციებზე), უნდა შეადგენდეს წინა წელს დაკლული ცხოველების საერთო რაოდენობის არანაკლებ 0,4%-ს და დაყოფილი უნდა იქნეს შემდეგნაირად:

ა) ჯგუფი „ა“ – 0,25%, რომელიც დაყოფილი უნდა იქნეს შემდეგნაირად:

ა.ა) ნიმუშების ნახევარი აღებული უნდა იქნეს ცოცხალი ცხოველებისგან, მათი შენახვის ადგილზე. გამონაკლისის სახით, დასაშვებია 25% ნიმუშებისა, „ა“ ჯგუფის (5) ნივთიერების (სუბსტანციის) გამოკვლევისათვის, განხორციელდეს ცხოველის საკვებში, წყალსა და სხვა მასალებში;

ა.ბ) ნიმუშების ნახევარი აღებული უნდა იქნეს სასაკლაოზე;

ა.გ) „ა“ ჯგუფის ნივთიერებების (სუბსტანციების) თითოეული ქვეჯგუფისათვის, ყოველწლიურად კონტროლი უნდა განხორციელდეს ამ ჯგუფისათვის განსაზღვრული ნიმუშების საერთო რაოდენობის არანაკლებ 5%-ში.

მსხვილფეხა საქონლის ნიმუშების რაოდენობა - 2025 წელს დაკლული ცხოველების სავარაუდო რაოდენობის **168,478** სულის (სააგენტოში 2025 წლის 9 თვის მონაცემებით საშუალოდ დაიკლა **126,359** სული მსხვილფეხა საქონელი) არანაკლებ 0,4% - **673** ნიმუში, აქედან ჯგუფი „ა“ – 0,25% - **421** -ნიმუში, რომელის ნახევარი **210** ნიმუში აღებული უნდა იქნეს

ცოცხალი ცხოველებიდან, მათი შენახვის ადგილზე (ფერმის დონეზე). „ა“ ჯგუფის ნივთიერებების (სუბსტანციების) თითოეული ქვეჯგუფისათვის კონტროლი განხორციელდება ამ ჯგუფისათვის განსაზღვრული ნიმუშების საერთო რაოდენობის არანაკლებ 5%-ში (ლაბ. შესაძლებლობების შესაბამისად). სურსათის დეპარტამენტთან შეთანხმებით სულ გამოკვლეული იქნება **248** მსხვილფეხა საქონლიდან აღებული საკვლევი **496** ნიმუში **2** მაჩვენებელზე (ზერანოლი და ქლორამფენიკოლი);

- **ცხვარი და თხა** - ცხვრებისა და თხების მინიმალური რაოდენობა, რომელიც ყოველწლიურად უნდა გაკონტროლდეს ყველა სახეობის ნარჩენებსა და ნივთიერებებზე (სუბსტანციებზე), უნდა შეადგენდეს წინა წელს 3 თვეზე მეტი ასაკის დაკლული ცხვრებისა და თხების საერთო რაოდენობის არანაკლებ 0,05 %-ს და დაყოფილი უნდა იქნეს შემდეგნაირად:

ა) ჯგუფი „ა“ - 0,01 %, რომელთაგან:

ა.ა) „ა“ ჯგუფის ნივთიერებების (სუბსტანციების) თითოეული ქვეჯგუფისათვის, ყოველწლიურად კონტროლი უნდა განხორციელდეს ამ ჯგუფისათვის განსაზღვრული ნიმუშების საერთო რაოდენობის არანაკლებ 5%-ში;

ცხვრებისა და თხების ნიმუშების რაოდენობა წინა წელს 3 თვეზე მეტი ასაკის დაკლული ცხოველების სავარაუდო რაოდენობის **28, 255** სულის (სააგენტოში 2025 წლის 9 თვის მონაცემებით, დაკლული იქნა 21,191 სული წვრილფეხა საქონელი) არანაკლებ -0.05% (**14** ნიმუში), აქედან ჯგუფი „ა“ – 0,01 % (3 ნიმუში). „ა“ ჯგუფის ნივთიერებების (სუბსტანციების) თითოეული ქვეჯგუფისათვის კონტროლი განხორციელდება ამ ჯგუფისათვის განსაზღვრული ნიმუშების საერთო რაოდენობის არანაკლებ 5%-ში 1.5 ნიმუში (ლაბორატორიული შესაძლებლობების შესაბამისად). სურსათის დეპარტამენტთან შეთანხმებით სულ გამოკვლეული იქნება **3** წვრილფეხა საქონლიდან აღებული საკვლევი **6** ნიმუში **2** მაჩვენებელზე (ზერანოლი და ქლორამფენიკოლი);

-**ღორი**- ღორების მინიმალური რაოდენობა, რომელიც ყოველწლიურად უნდა გაკონტროლდეს ყველა სახეობის ნარჩენებსა და ნივთიერებებზე (სუბსტანციებზე), უნდა შეადგენდეს წინა წელს დაკლული ღორების საერთო რაოდენობის არანაკლებ 0,05 %-ს და დაყოფილი უნდა იქნეს შემდეგნაირად:

ა) ჯგუფი „ა“ – 0,02 %;

ა.ა) იმ შემთხვევაში, თუ ნიმუშების აღება ხდება სასაკლაოზე, აუცილებელია დამატებით, ფერმის დონეზე, ანალიზი ჩაუტარდეს:

ა.ა.ა) ცხოველისთვის განკუთვნილ სასმელ წყალს;

ა.ა.ბ) ცხოველის საკვებს;

ა.ა.გ) ექსკრემენტებს.

„ა“ ჯგუფის ნივთიერებების (სუბსტანციების) თითოეული ქვეჯგუფისათვის ყოველწლიურად კონტროლი უნდა განხორციელდეს ამ ჯგუფისათვის განსაზღვრული ნიმუშების საერთო რაოდენობის არანაკლებ 5%-ში და ნაშთი განაწილდეს საჭიროების შესაბამისად.

ღორების ნიმუშების რაოდენობა - წინა წელს დაკლული ღორების სავარაუდო 284,380 სული რაოდენობის (სააგენტოში 2025 წლის 9 თვის მონაცემებით, დაკლული იქნა 213,285 სული ღორი.) არანაკლებ 0,05 % (142 ნიმუში), აქედან ჯგუფი „ა“ – 0,02% ( 57 ნიმუში). აქედან ფერმაში ნიმუში აღებული უნდა იქნას 30 სული ღორიდან. „ა“ ჯგუფის ნივთიერებების (სუბსტანციების) თითოეული ქვეჯგუფისათვის კონტროლი განხორციელდება ამ ჯგუფისათვის განსაზღვრული ნიმუშების საერთო რაოდენობის არანაკლებ 5%-ში (ლაბორატორიული შესაძლებლობების შესაბამისად). სურსათის დეპარტამენტთან შეთანხმებით სულ გამოკვლეული იქნება 30 ღორიდან აღებული საკვლევი 240 ნიმუში 8 მაჩვენებელზე (ზერანოლი, ქლორამფენიკოლი, მეტრონიდაზოლი, რონიდაზოლი, ფურაზოლიდონი, ფურალტადონი, ნიტროფურაზონი, ნიტროფურანტონი);

- ფრინველი - თითოეული კატეგორიის ფრინველისათვის (ბროილერი, ამორტიზებული კვერცხმდებელი ქათამი, ინდაური და სხვ.) ყოველწლიურად ასაღები ნიმუშების რაოდენობა უნდა შეადგენდეს წლიური პროდუქციის (დაკლული წონა) ყოველ 200 ტონაზე, სულ მცირე, ერთ ნიმუშს და თუ გამოსაკვლევი ფრინველის ცალკეული კატეგორიის წლიური პროდუქცია (დაკლული წონა) აღემატება 5 000 ტონას – სულ მცირე 100 ნიმუშს ნივთიერების (სუბსტანციის) თითოეულ ჯგუფზე. ჯგუფების დაყოფა უნდა მოხდეს შემდეგი სახით:

ა) ჯგუფი „ა“ – ნიმუშების საერთო რაოდენობის 50%;

ა.ა) ფერმის დონეზე აღებული ნიმუშების რაოდენობა უნდა შეადგენდეს ნიმუშების საერთო რაოდენობის 1/5-ს;

ა.ბ) „ა“ ჯგუფის ნივთიერებების (სუბსტანციების) თითოეული ქვეჯგუფისათვის ყოველწლიურად შემოწმებული და გამოკვლეული უნდა იქნეს „ა“ ჯგუფის ნივთიერებებისათვის (სუბსტანციებისათვის) აღებული ნიმუშების საერთო რაოდენობის არა უმცირეს 5%-ისა;

ა.გ) ნაშთი უნდა განაწილდეს საჭიროების შესაბამისად;

სააგენტოში 2025 წლის 9 თვის მონაცემებით, დაკლული იქნა 9 342 375 ფრთა ფრინველი (1 ფრთა ფრინველი X 1, 200 კგ - საშუალო ფრინველის წონა). 2025 წლის განმავლობაში სავარაუდოდ დაკლული იქნება **12 456 500** ფრთა. აღნიშნული მონაცემი იძლევა შესაძლებლობას, რომ დათვლილი იქნას წლის განმავლობაში დაკლული ფრინველის ხორცის რაოდენობა, ერთი ფრთის დაკლული წონის (საშუალოდ X 1,200 კილოგრამი საშუალო ფრინველის წონა) გადაანგარიშებით დაკლული წონა შეადგენს 15 055 800 კგ ფრინველის ხორცს. თითოეული კატეგორიის ფრინველისათვის (ბროილერი, ამორტიზებული კვერცხმდებელი ქათამი, ინდაური და სხვ.) ყოველწლიურად ასაღები ნიმუშების რაოდენობა უნდა შეადგენდეს წლიური პროდუქციის (დაკლული წონა) ყოველ 200 ტონაზე, სულ მცირე, ერთ ნიმუშს და/ან თუ გამოსაკვლევი ფრინველის ცალკეული კატეგორიის წლიური პროდუქცია (დაკლული წონა) აღემატება 5 000 ტონას – სულ მცირე 100 ნიმუშს ნივთიერების (სუბსტანციის) თითოეულ ჯგუფზე და 2026 წელს სულ გამოკვლეულ უნდა იქნეს **300** ერთეული. აქედან ჯგუფი „ა“ – საერთო რაოდენობის 50% - **150 ნიმუში**. ფერმის დონეზე აღებული ნიმუშების რაოდენობა საერთო ნიმუშების რაოდენობის 1/5-ს შეადგენს **30** ნიმუში; „ა“ ჯგუფის ნივთიერებების (სუბსტანციების) თითოეული ქვეჯგუფისათვის კონტროლი განხორციელდება ამ ჯგუფისათვის განსაზღვრული ნიმუშების საერთო რაოდენობის არანაკლებ 5%-ში (ლაბ. შესაძლებლობების შესაბამისად). სურსათის დეპარტამენტთან შეთანხმებით სულ გამოკვლეული იქნება **30** ფრინველიდან აღებული საკვლევი **240** ნიმუში **8** მაჩვენებელზე (ზერანოლი, ქლორამფენიკოლი, მეტრონიდაზოლი, რონიდაზოლი, ფურაზოლიდონი, ფურალტადონი, ნიტროფურაზონი, ნიტროფურანტიონი);

- **თევზი**- სააგენტოში არსებული მონაცემებით სულ რეგისტრირებულია 370 აკვაკულტურის ობიექტი. ფერმის დონეზე ნიმუშის აღება უნდა განხორციელდეს რეგისტრირებული საწარმოების საერთო რაოდენობის არაუმცირეს 10%-დან, საიდანაც ნიმუშების საერთო რაოდენობის 1/3 არის „ა“ ჯგუფის ნივთიერებების კვლევისთვის განსაზღვრული ნიმუშები. ასევე, თუ ფერმაში წარმოებული თევზისათვის ყოველწლიურად ასაღები ნიმუშების რაოდენობა ყოველ 100 ტონა წარმოებული პროდუქტიდან შეადგენს არანაკლებ 1 ნიმუშს. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე მოცემულია ქვეყანის მასშტაბით წყალსატევებში წარმოებული თევზის რაოდენობა 2024 წლის მდგომარებით შეადგენს 2452,5 ტონა თევზს, (ოჯახების მიხედვით) მათ შორის ორაგულისებრი თევზის (ცისარტყელა კალმახი, მდინარის კალმახი, ტბის კალმახი, კიჟური) რაოდენობა შეადგენს 1206,9 ტონას და 278,6 ტონა ზუთხისებრი. შესაბამისად სულ

გამოკვლევული უნდა იქნას დაახლოებით 25 თევზის ნიმუში, საიდანაც „ა“ ჯგუფის ნივთიერებებზე 11 ნიმუში. სურსათის დეპარტამენტთან შეთანხმებით სულ ფერმის დონეზე აღებული თევზის 15 ნიმუშში განხორციელდება 105 კვლევა 7 მაჩვენებელზე (ქლორამფენიკოლი, მეტრონიდაზოლი, რონიდაზოლი, ფურაზოლიდონი, ფურალტადონი, ნიტროფურაზონი, ნიტროფურანტონი);

2020, 2021, 2022, 2023, 2024, 2025 წლების აკვაკულტურის პროდუქტებში და წყალში მალაქიტის მწვანე/ლუეკომალაქიტის მწვანეზე და კრისტალური იისფერის/ლუეკოკრისტალური იისფერის ჯამურ მაჩვენებელზე კვლევის შედეგების და სურსათის დეპარტამენტის მიერ აღებულ და გამოკვლევულ თევზის ნიმუშებში ჯერ კიდევ გამოვლენილი დარღვევის საფუძველზე ჩვენ უნდა განვახორციელოთ სახელმწიფო კონტროლი პირველადი წარმოების (ფერმის) დონეზე, კერძოდ ნიმუშის აღება, ამის გათვალისწინებით 2026 წელს 150 ნიმუში გამოკვლევული იქნება მალაქიტის მწვანის და მისი მეტაბოლიტის ლუეკომალაქიტის მწვანის, კრისტალური იისფერისა და მისი მეტაბოლიტის ლუეკოკრისტალური იისფერის ჯამურ მაჩვენებლებზე, სულ 300 საკვლევი ნიმუში. აქედან გეგმურად ასაღები 120 ნიმუში და 30 არაგეგმურად ასაღები თევზის ნიმუში (150 მალაქიტის მწვანე და ლუეკომალაქიტის მწვანის ჯამი და 150 კრისტალური იისფერი და ლუეკოკრისტალური იისფერის ჯამი). სულ 150 ცალ თევზის ნიმუშში (გეგმური და არაგეგმური) განხორციელდება 300 ანალიზი (მალაქიტის მწვანის და მისი მეტაბოლიტის ლუეკომალაქიტის მწვანის, კრისტალური იისფერისა და მისი მეტაბოლიტის ლუეკოკრისტალური იისფერის ჯამურ მაჩვენებლები).

თევზში MG/LMG და CV/LCV ნარჩენი რაოდენობების შემცირება/აღმოფხვრის მიზნით განსახორციელებელი რისკის მართვის დამატებითი ღონისძიებების (ოქმი № 9 სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო თარიღი: 2025 წლის 24 ნოემბერი) რეკომენდაციის - „ვეტერინარული კონტროლის ფარგლებში დაიგეგმოს სათევზე მეურნეობებში წყლის ნიმუშების აღება და მათი კვლევა MG/LMG და CV/LCV-ზე“ შესაბამისად 2026 წელს განხორციელდება 20 აკვაკულტურის ობიექტში გამოყენებული წყლის 20 ნიმუშის კვლევა მალაქიტის მწვანის და მისი მეტაბოლიტის ლუეკომალაქიტის მწვანის ჯამურ მაჩვენებელზე.

სულ 2026 წელს ფერმის დონეზე აღებული ცოცხალი ცხოველის ბიოლოგიურ მასალაში ვეტერინარული პრეპარატებისა და სხვა დამაბინძურებლების ნარჩენი ნივთიერებების კვლევის მიზნით ასაღები ნიმუშების რაოდენობამ შეადგინა 326 ერთეული, ხოლო საკვლევი ნიმუშების რაოდენობამ შეადგინა 1,087.

იმისთვის, რომ მოხდეს აკრძალული ნივთიერებების გამოყენების კონტროლი

განხორციელდება სასურსათო დანიშნულების ცხოველის საკვებში ანაბოლური მოქმედების მქონე ნივთიერებების და აკრძალული ნივთიერებების, ვეტერინარული პრეპარატებისა და დამაბინძურებლების კვლევა სასურსათო დანიშნულების ცხოველის საკვების **147** ნიმუშში **21** მაჩვენებელზე (მედროქსიპროგესტერონი, პროგესტერონი, 17-ბეტა-ესტრადიოლი, ტესტოსტერონი, ეთინილესტრადიოლი, ტრემბოლოლი, ქლორამფენიკოლი, ზერანოლი, მეტრონიდაზოლი, რონიდაზოლი, ფურაზოლიდონი, ფურალტადონი, ნიტროფურაზონი, ნიტროფურანტონი, აფლატოქსინი B1, გენტამიცინი, სტრეპტომიცინი, ტეტრაციკლინი, ოქსიტეტრაციკლინი, ალბენდაზოლი და ლევომიზოლი). სულ გამოკვლეული იქნება ცხოველის საკვების **147** ნიმუში და განხორციელდება **831** ანალიზი **89** მრკ-ს საკვებში განხორციელდება **371** ანალიზი, **24** ფრინველის საკვებში განხორციელდება **192** ანალიზი, **24** თევზის საკვებში განხორციელდება **156** ანალიზი და **10** ღორის საკვებში განხორციელდება **112** ანალიზი).

ჯამში 2026 წელს ანაბოლური მოქმედების მქონე, აკრძალული ნივთიერების, ვეტერინარული პრეპარატების, სხვა დამაბინძურებლების და მათი ნარჩენების გამოვლენის მონიტორინგის მიზნით **643** ნიმუშიდან (აქედან ცოცხალი ცხოველიდან ასაღები ნიმუში- **326**, **150** თევზის ნიმუში, **20** აკვაკულტურის წყლის ნიმუში და სასურსათო დანიშნულების ცხოველის საკვები **147** ნიმუში) გამოკვლეული იქნება **2,238** საკვლევი ნიმუში **23** მაჩვენებელზე (მედროქსიპროგესტერონი, პროგესტერონი, 17-ბეტაესტრადიოლი, ტესტოსტერონი, ეთინილესტრადიოლი, ტრემბოლოლი, ქლორამფენიკოლი, ზერანოლი, მეტრონიდაზოლი, რონიდაზოლი ფურაზოლიდონი, ფურალტადონი, ნიტროფურაზონი, ნიტროფურანტონი, გენტამიცინი, სტრეპტომიცინი, ტეტრაციკლინი ოქსიტეტრაციკლინი, ალბენდაზოლი, ლევომიზოლი, აფლატოქსინი B1 და მალაქიტის მწვანე/ლეუკომალაქიტის მწვანე, კრისტალური იისფერი/ლეუკოკრისტალური იისფერი).

## 11. შინაური ბინადარი ცხოველის საკვებისა და თევზის ფეკულის ნიმუშების კვლევა

ცხოველური წარმოშობის არასასურსათო დანიშნულების პროდუქტის (შინაური ბინადარი ცხოველის საკვებისა და თევზის ფეკულის, ასევე მესამე კატეგორიის მასალიდან მიღებული ცხიმის გადამუშავების შედეგად დარჩენილი ხიწიწი) სალმონელასა და ენტერობაქტერიაზე გამოკვლევა და ნიმუშის უვნებლობის დადგენა ხორციელდება „ტექნიკური რეგლამენტი „ცხოველური წარმოშობის არასასურსათო დანიშნულების პროდუქტისა (მათ შორის, ცხოველური ნარჩენების) და მეორეული პროდუქტის,

რომლებიც არ არის გამიზნული ადამიანის მიერ მოხმარებისათვის, ჯანმრთელობისა და ამ საქმიანობასთან დაკავშირებული ბიზნესოპერატორის აღიარების წესების“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 29 დეკემბერის №605 დადგენილებით დამტკიცებული წესების შესაბამისად. გადამამუშავებელი საწარმო (საამქრო), რომელიც იყენებს მეორე და მესამე კატეგორიის მასალებს განეკუთვნება მაღალ რისკს და ამიტომ ინსპექტირება და ნიმუშების აღება ხორციელდება წელიწადში 2-ჯერ.

ზემოაღნიშნული დადგენილების შესაბამისად რისკების შეფასების შედეგად საწარმოებში (საამქროებში) 5 წლის განმავლობაში ნიმუშის აღება და სახელმწიფო კონტროლი ხორციელდებოდა წელიწადში 2-ჯერ, იმის გათვალისწინებით რომ აღნიშნულ საწარმოებში ნიმუშის აღებისას და სახელმწიფო კონტროლისას არ დაფიქსირებულა არაკრიტიკული შეუსაბამობა, ნიმუშის აღება და სახელმწიფო კონტროლი 2026 წელს განხორციელდება წელიწადში ერთხელ.

დღეისათვის აღიარებულია შინაური ბინადარი ცხოველების საკვების 6 საწარმო, თევზის ფქვილის 5 საწარმო, ასევე მესამე კატეგორიის მასალიდან მიღებული ცხიმის გადამამუშავებელი და შემნახველი 1 საწარმო.

2026 წელს განხორციელდება ზემოაღნიშნული საწარმოების გეგმური ვეტერინარული სახელმწიფო კონტროლი. შინაური ბინადარი ცხოველის საკვების უვნებლობის მონიტორინგის მიზნით სალმონელასა და ენტერობაქტერიების კვლევისთვის აღებული და გამოკვლეული იქნება შინაური ბინადარი ცხოველის გადამამუშავებული საკვების საწარმოდან 5 ნიმუში 5 სხვადასხვა პარტიიდან (წელიწადში სულ 30 ნიმუში), თევზის ფქვილის საწარმოებიდან 5 ნიმუში (წელიწადში სულ 25 ნიმუში), ასევე მესამე კატეგორიის მასალიდან მიღებული ცხიმის გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოდან 5 ნიმუში (წელიწადში სულ 10 ნიმუში).

ასევე წლის განმავლობაში ახალი საწარმოების შესაძლო აღიარების ან აღიარებული საწარმოს არაგეგმური ინსპექტირების და სალმონელასა და ენტერობაქტერიების კვლევის მიზნით განხორციელდება 40 ნიმუშის სახელმწიფო კონტროლის ფარგლებში გამოკვლევა.

**12. მცენარეული და ცხოველური წარმოშობის სასურსათო ცხოველის საკვებ(ზე)ში პესტიციდების ნარჩენების მაქსიმალური დონის გამოვლენის მიზნით ნიმუშების კვლევა.**

ტექნიკური რეგლამენტი – მცენარეული და ცხოველური წარმოშობის სასურსათ(ზე)ში/ცხოველის საკვებ(ზე)ში პესტიციდების ნარჩენების მაქსიმალური დონის

შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილება N623 მიზნად ისახავს ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, ასევე მომხმარებელთა ინტერესების დაცვას მცენარეული და ცხოველური წარმოშობის სურსათ(ზე)ში/ცხოველის საკვებ(ზე)ში პესტიციდების ნარჩენების მაქსიმალური დონის (შემდგომში - ნმდ) შემცველობასთან დაკავშირებით.

2026 წელს მცენარეული და ცხოველური წარმოშობის სასურსათო დანიშნულების ცხოველის საკვების 30 ნიმუშში განხორციელდება 90 ანალიზი 3 მაჩვენებელზე (დიქლორ-დიფენილტრიქლოროეთანი, ლინდანი, ჰექსაქლორციკლო-ჰექსანი B იზომერი) პესტიციდების ნარჩენების მაქსიმალური დონის გამოვლენის მიზნით.

#	გამოკვლევის დასახელება	დიაგნოსტიკის მიზანი/კვლევის მეთოდი	ნიმუშის რაოდენობა
1	ანაბოლური მოქმედების მქონე და აკრძალული ნივთიერები, ვეტერინარული პრეპარატები	ბიოლოგიური სითხეებში და ქსოვილებში (მრკ, წრკ, ღორი, ფრინველი, თევზი) ანაბოლური მოქმედების მქონე და აკრძალული ნივთიერების, ვეტერინარული პრეპარატების (მედროქსიპროგესტერონი, პროგესტერონი, 17-ბეტა-ესტრადიოლი, ტესტოსტერონი, ეთინილ ესტრადიოლი, ტრემბოლოლი, ზერანოლი, ქლორამფენიკოლი, მეტრონიდაზოლი, რონიდაზოლი, ფურაზოლიდონი, ფურალტადონი, ნიტროფურაზონი, ნიტროფურანტონი) გამოვლენა	326/ 1087
2	ანაბოლური მოქმედების მქონე და აკრძალული ნივთიერები, ვეტერინარული პრეპარატები	სასურსათო დანიშნულების ცხოველის საკვებში ანაბოლური მოქმედების მქონე და აკრძალული ნივთიერების, ვეტერინარული პრეპარატების (მედროქსიპროგესტერონი, პროგესტერონი, 17-ბეტა-ესტრადიოლი, ტესტოსტერონი, ეთინილ ესტრადიოლი, ტრემბოლოლი, ზერანოლი, ქლორამფენიკოლი, მეტრონიდაზოლი, რონიდაზოლი, ფურაზოლიდონი, ფურალტადონი, ნიტროფურაზონი, ნიტროფურანტონი, გენტამიცინი, სტრეპტომიცინი, ტეტრაციკლინი, ოქსიტეტრაციკლინი, ალბენდაზოლი, ლევომიზოლი) გამოვლენა	64/748
3	სხვა დამაბინძურებლები- აფლატოქსინი B1	სასურსათო დანიშნულების ცხოველის საკვებში (მრკ-ს, თევზის და ფრინველის საკვები) სხვა დამაბინძურებლები- აფლატოქსინი B1 გამოვლენა	83/83
4	MG/LMG და CV/LCV	თევზის ქსოვილში თევზში ტრიფენილმეთანის და საღებავების ნარჩენებისა და მათი მეტაბოლიტების - მალაქიტის მწვანე/ლუეუკომალაქიტის მწვანის და კრისტალური იისფერის/ლუეუკოკრისტალური იისფერის ჯამურ მაჩვენებელზე კვლევა	150/150
5	MG/LMG	აკვაკულტურის წყალში თევზში ტრიფენილმეთანის და საღებავების ნარჩენებისა და მათი მეტაბოლიტების- მალაქიტის მწვანე/ლუეუკომალაქიტის მწვანის ჯამურ მაჩვენებელზე კვლევა	20/20

6	სალმონელა	შინაური ბინადარი ცხოველის საკვებისა და თევზის ფეკილის ნიმუშების კვლევა სალმონელაზე	140
7	ენტერობაქტერია	შინაური ბინადარი ცხოველის საკვებისა და თევზის ფეკილის ნიმუშების კვლევა ენტერობაქტერიაზე	140
8	პესტიციდების ნარჩენების მაქსიმალური დონე	მცენარეული და ცხოველური წარმოშობის სასურსათო ცხოველის საკვებ(ზე)ში პესტიციდების (დიქლორ- დიფენილტრიქლოროეთანი, ლინდანი, ჰექსაქლორციკლო-ჰექსანი B იზომერი) ნარჩენების მაქსიმალური დონის გამოვლენის მიზნით ნიმუშების კვლევა	30/90

### 13. ნიმუშების აღება (დაავადების დასადგენად)

ნიმუშების აღება მოხდება ცხოველთა ჯანმრთელობის საეჭვო სტატუსის შემთხვევებში, მათი გამოკვლევის მიზნით, პასიური ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობის ფარგლებში, სავარაუდოდ შემდეგ დაავადებებზე:

#	დაავადების დასახელება	დიაგნოსტიკის მიზანი/კვლევის მეთოდი
1	ბრუცელოზი	დაავადების საწინააღმდეგო ანტისხეულების აღმოჩენა (როზ-ბენგალი)
		დაავადების საწინააღმდეგო ანტისხეულების აღმოჩენა (დამადასტურებელი ტესტი) FPA - სეროლოგია
2		დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა - ტიპირება (B. Abortus, B. Melitensis) (ბაქტერიოლოგია)
3		პოსტვაქცინალური ანტისხეულების აღმოჩენა (როზ-ბენგალი - სეროლოგია)
4	ქუ ცხელება	დაავადების საწინააღმდეგო ანტისხეულების აღმოჩენა ELISA ( სეროლოგია)
5		დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა - PCR (მოლეკულური ბიოლოგია)
6		ანტისხეულების აღმოჩენა IFA -(სეროლოგია)
7	ცოფი	მღრღნელების და ღამურების თავის ქალას ტრეპანაცია
8		ცხოველის თავის ქალის ტრეპანაცია
9		დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა - პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქცია (PCR); ფლუორესცენტული ანტისხეულების ტესტი
10		ვირუსის საწინააღმდეგო ანტისხეულების IgG ტიტრის განსაზღვრა ხორცისმჭამელი ცხოველებში ELISA ( სეროლოგია)
11		ცოფის ვირუსის სექვენირება სენგერის მეთოდით
12	ტუბერკულოზი	დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა (ბაქტერიოლოგია)
13	ლეიკოზი	დაავადების საწინააღმდეგო ანტისხეულების აღმოჩენა ELISA (სეროლოგია)
14	ჯილეზი	დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა (ბაქტერიოლოგია)
15		დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა PCR (მოლეკულური ბიოლოგია)
16		დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა ( გარემოს ნიმუში- ბაქტერიოლოგია,PCR)
17		დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა PCR (მოლეკულური ბიოლოგია)
18	თურქული	ვირუსის არასტრუქტურული ცილების საწინააღმდეგო ანტისხეულების (NSP) აღმოჩენა ELISA (სეროლოგია)
19		ვირუსის (A,O,Asia 1, SAT 2, SAT1) სეროტიპების სტრუქტურული ცილების (SP) საწინააღმდეგო ანტისხეულების აღმოჩენა ELISA ( სეროლოგია)
20		ვირუსის A; O; Asia1; C; SAT1; SAT2 სეროტიპების ანტიგენის აღმოჩენა ELISA (სეროლოგია)
21		ვირუსის A; O; Asia 1; SAT 2 SAT1 სეროტიპების სტრუქტურული ცილების (SP) საწინააღმდეგო ანტისხეულების რაოდენობრივი განსაზღვრა განზავებებით ELISA ( სეროლოგია)
22	ფრინველის გრიპი	დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა (A;H5; H7, H9) PCR (მოლეკულური ბიოლოგია)
23	პარამიქსოვირუსები / ნიუკასლის	დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა PCR (მოლეკულური ბიოლოგია)
24	დაავადება	იმუნური სტატუსის განსაზღვრა (ELISA სეროლოგია)

25	პროტოზოები- პიროპლაზმიდოზები	დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა (მიკროსკოპია)
26	პროტოზოები	პარაზიტის იდენტიფიცირება (მიკროსკოპია)
27	ღორის აფრიკული ცხელება	დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა (PCR) მოლეკულური ბიოლოგია
28		დაავადების საწინააღმდეგო ანტისხეულების აღმოჩენა (ELISA - სეროლოგია)
29	ღორის კლასიკური ცხელება	დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა (PCR) მოლეკულური ბიოლოგია
30	ქლამიდიოზი	დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა PCR (მოლეკულური ბიოლოგია)
31	ანაპლაზმოზი	დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა PCR (მოლეკულური ბიოლოგია)
32	მრკ-ს ჰერპეს ვირუსი	დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა PCR (მოლეკულური ბიოლოგია)
33	ღორის წითელი ქარი	დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა (ბაქტერიოლოგია)
34	ჰემორაგიული სეპტიცემია - პასტერელოზი	დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა (ბაქტერიოლოგია)
35	სალმონელოზი	დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა (ბაქტერიოლოგია) სალმონელა spp, დაავადების აღმძვრელის ტიპირება (ბაქტერიოლოგია)
36	სალმონელოზი	დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა PCR (მოლეკულური ბიოლოგია)
37		დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა (ბაქტერიოლოგია)
38	ფრინველის ინფექციური ბრონქიტი	დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა PCR (მოლეკულური ბიოლოგია)
39	ფრინველის ინფექციური ბურსალური დაავადება (გამბორი)	დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა PCR (მოლეკულური ბიოლოგია)
40	კოლიბაქტერიოზი	დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა (ბაქტერიოლოგია)
41	სტაფილოკოკოზი	დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა (ბაქტერიოლოგია)
42	დერმატომიკოზი	მიკოზების იდენტიფიცირება (მიკროსკოპია)
43	ლეიშმანიოზი	დაავადების საწინააღმდეგო IgG ანტისხეულების აღმოჩენა ELISA (სეროლოგია)
44	ტულარემია	დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა მოლეკულური ბიოლოგია (PCR)
45	მრკ ნოდულარული დერმატიტი	დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა მოლეკულური ბიოლოგია (PCR)
46	წვრილფეხა საქონლის ჭირი	დაავადების/პოსტვაქცინალური ანტისხეულების აღმოჩენა (ELISA სეროლოგია)
47		დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა (PCR) მოლეკულური ბიოლოგია
48		წვრილფეხა საქონლის ჭირის ვირუსის (PPRV) სექვენირება სენგერის მეთოდით
49	ცხვრისა და თხის ყვავილი (კაპრიპოქსი)	დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა (PCR) მოლეკულური ბიოლოგია ანტისხეულების აღმოჩენა ELISA -(სეროლოგია)
50	ორთოპოქსი	დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა (PCR) მოლეკულური ბიოლოგია
51	ანაერობული დიზინტერია	დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა (ბაქტერიოლოგია)
52	კონტაგიოზური ექტიმა	დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა (PCR) მოლეკულური ბიოლოგია
53	აუესკის დაავადება	დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა (PCR) მოლეკულური ბიოლოგია
54	ნეკრობაქტერიოზი	დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა (ბაქტერიოლოგია)
55		დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა (PCR) მოლეკულური ბიოლოგია
56	ჩლიქების სიდამპლე	დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა (ბაქტერიოლოგია)
57		დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა (PCR) მოლეკულური ბიოლოგია
58	ბრადზოტი	დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა (ბაქტერიოლოგია) (PCR)
59	ენტეროტოქსემია	დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა (ბაქტერიოლოგია) (PCR)
60	ემფიზემატოზ. კარბუნკული	დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა (ბაქტერიოლოგია)(PCR)
61	ლეპტოსპიროზი	დაავადების საწინააღმდეგო ანტისხეულების აღმოჩენა (ELISA) სეროლოგია
62		დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა მცოხნავ ცხოველებში (PCR) მოლეკულური ბიოლოგია
63	ლისტერიოზი	დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა (ბაქტერიოლოგია)
64	ლისტერიოზი	დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა მცოხნავ ცხოველებში ლისტერია მონოციტოგენეზი PCR (მოლეკულური ბიოლოგია)
65	პროტოზოები (ტრიქომონოზი და სხვა)	დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა (მიკროსკოპია)
66	არაქნოიდები (სარკოპტოზი, დემოდეკოზი და სხვა)	ტკიპების იდენტიფიცირება (მიკროსკოპია)
67	კამპილობაქტერიოზი	დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა (ბაქტერიოლოგია)
68	კამპილობაქტერიოზი	დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა მცოხნავ ცხოველებში კამპილობაქტერია ფეტუსი PCR (მოლეკულური ბიოლოგია)
69	ჰელმინთები -ექინოკოკოზი და მისი აგენტები	დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა (მიკროსკოპია) (კოპროლოგია)
70	ჰელმინთები - ტრიქინელოზი და მისი აგენტები	დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა (მიკროსკოპია, ბიოქიმია)

71	იერსინიოზი და მისი აგენტები	დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა (ბაქტერიოლოგია)
72	ჰელმინთები პროტოზოები - ცისტიცერკოზი და მისი აგენტები	დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა (მიკროსკოპია) (კოპროლოგია)
73	ცხოველის ლემის პათ. ანატომიური გაკვეთა და პათ ანატომიური დასკვნა	ცხოველის ლემი
74	პათ. ანატომიური გაკვეთა	ფრინველის ლემი
75	პათ. ანატომიური გაკვეთა	თევზი
76	თევზის პარაზიტული დაავადებები	პროტოზოები / ჰელმინთები (მიკროსკოპია)
77		არაქნოზები (მიკროსკოპია)
78	ფუტკრის პარაზიტული დაავადებები	პარაზიტის იდენტიფიცირება პროტოზოა (ნოზემატოზი და სხვა) (მიკროსკოპია)
79		პარაზიტის იდენტიფიცირება არაქნოზები (აკარაპიდოზი და სხვა)
80	ფუტკრის ამერიკული სიდამძლე	დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა (ბაქტერიოლოგია)
81	ფუტკრის ევროპული სიდამძლე	დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა (ბაქტერიოლოგია)
82	ფუტკრის ჰემორაგიული სეპტიცემია	დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა (ბაქტერიოლოგია)
83	ჰელმინთები, პროტოზოები	ჰელმინთების და პროტოზოების იდენტიფიცირება (კოპროლოგია)
84	ძაღვის ჭირი	დაავადების საწინააღმდეგო ანტისხეულების IgG აღმოჩენა სისხლის შრატში (ELISA) სეროლოგია
85		დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა (PCR) მოლეკულური ბიოლოგია
86	ბლუთანგი	დაავადების საწინააღმდეგო ანტისხეულების აღმოჩენა (ELISA) სეროლოგია
87		ზრდასრული კულიკოიდების სახეობების იდენტიფიკაცია (10 მწერი X1 ნიმუში)
88	დეზინფექციის ხარისხის განსაზღვრა	დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა (PCR) მოლეკულური ბიოლოგია
89	თევზის ვირუსული ჰემორაგიული სეპტიცემია (VHS)	დეზინფექციის ხარისხის განსაზღვრა (ბაქტერიოლოგია)
90	თევზის სისხლმზადი ქსოვილის ინფექციური ნეკროზი (IHN)	დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა (PCR) მოლეკულური ბიოლოგია
91	სისხლმზადი ქსოვილის ეპიზოტოტიური ნეკროზი	დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა (PCR) მოლეკულური ბიოლოგია
92	Koi-Herpes-ვირუსული დაავადება (KHV)	დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა (PCR) მოლეკულური ბიოლოგია
93	ორაგულის ინფექციური ანემია (ISA): ინფექცია ორაგულის ინფექციური ანემიის გამომწვევი ვირუსის ჰეპტოგლობინთან დაკავშირებული ცილის (HPR) არ მქონე გენოტიპით	დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა (PCR) მოლეკულური ბიოლოგია
94	თევზის პანკრეასის ინფექციური ნეკროზი (IPN)	დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა (PCR) მოლეკულური ბიოლოგია
95	ინფექცია Bonamia exitiosa – ით	თევზის პანკრეასის ინფექციური ნეკროზის ვირუსის (IPN) ვირუსული გენომის აღმოჩენა (მოლეკულური ბიოლოგია)
96	ინფექცია Perkinsus marinus – ით	დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა (PCR) მოლეკულური ბიოლოგია
97	ინფექცია Microcytos mackini – ით	დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა (PCR) მოლეკულური ბიოლოგია
98	დაინფიცირება Marteilia refringens – ით	დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა (PCR) მოლეკულური ბიოლოგია
99	დაინფიცირება Bonamia ostrea – თი	დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა (PCR) მოლეკულური ბიოლოგია
100	ტაურა სინდრომი	დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა (PCR) მოლეკულური ბიოლოგია
101	დაავადება - ყვითელი თავი	დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა (PCR) მოლეკულური ბიოლოგია
102	დაავადება თეთრი ლაქიანობა	დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა (PCR) მოლეკულური ბიოლოგია
103	თევზის აერომონოზი	დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა (ბაქტერიოლოგია)
104	თევზის ვიბრიოზი	
105	თევზის ფსევდომონოზი	
106	თევზი-ენტერალური წითელი პირი	
107	თევზი-ლაქტოკოკოზი	
108	თევზი-ვაგოკოკოზი	
109	თევზი-ფურუნკულოზი	
110	თევზი-თირკმლის ბაქტერიული დაავადება	
111	თევზი-ფლავობაქტერია spp	

112	თევზი-ლაყუჩის ბაქტერიული დაავადება	
113	მსხვილი საქონლის ენცეფალოპათია - სკრეპი,	დაავადების აღმძვრელის ანტიგენის აღმოჩენა ELISA (სეროლოგია)
114	ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელება	დაავადების საწინააღმდეგო ანტისხეულების აღმოჩენა (ELISA) სეროლოგია
115		ტკიპების იდენტიფიცირება (მიკროსკოპია)
116		ტკიპებში დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა-მოლეკულური ბიოლოგია (PCR)
117	ღორის ვეზიკულური სტომატიტი	დაავადების საწინააღმდეგო ანტისხეულების აღმოჩენა (ELISA - სეროლოგია)
118	ბორელიოზი	დაავადების საწინააღმდეგო ანტისხეულების აღმოჩენა (ELISA - სეროლოგია)
119	ფუტკრის ნოზემატოზი	დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა (PCR) მოლეკულური ბიოლოგია
120	ფუტკრის ტროპილელაფსოზი	დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა (PCR) მოლეკულური ბიოლოგია
121	მიკოპლაზმოზი (ფრინველი)	დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა (PCR) მოლეკულური ბიოლოგია
122	მიკოპლაზმოზი (წრპ)	დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა (PCR) მოლეკულური ბიოლოგია

#### 14. ცხოველთა გარეგან პარაზიტებზე დამუშავება

2016 წლიდან დაიწყო სეზონურ სამოვრებზე ცხოველთა გადასარეკ ტრასებზე ინფრასტრუქტურის მოწესრიგება (ცხოველების გასაბანებელი პუნქტების, სარწყულელების და სხვა), სადაც ჩატარებული იქნა გადასარეკი საქონლის ჯანმრთელობაზე ზედამხედველობა და ექტო-პარაზიტების საწინააღმდეგოდ დამუშავება. 2016 წელს არსებულ პუნქტებზე მოხდა 31052 მსხვილფეხა და 343910 წვრილფეხა საქონლის დამუშავება. 2017 წელს პუნქტებზე დამუშავდა 12882 მსხვილფეხა და 630399 წვრილფეხა საქონელი. 2018 წელს დამუშავდა 8465 სული მსხვილფეხა და 713168 სული წვრილფეხა საქონელი. 2019 წელს პუნქტებზე დამუშავდა 11649 მსხვილფეხა და 709750 წვრილფეხა საქონელი. 2020 წელს 15415 მსხვილფეხა და 785892 წვრილფეხა საქონელი. 2021 წელს აღნიშნულ პუნქტებზე (რასაც დაემატება ერთი პუნქტი მცხეთა მთიანეთის რეგიონში) 13 231 მსხვილფეხა და 999 204 წვრილფეხა საქონელი. 2022 წელს დამუშავდა 13 346 სული მსხვილფეხა და 1 060 437 სული წვრილფეხა საქონელი და 2023 წელს 8088 სული მსხვილფეხა და 954 750 სული წვრილფეხა საქონელი. 2024 წელს 9277 სული მსხვილფეხა და 937 194 სული წვრილფეხა საქონელი. 2025 წელს 5 268 სული მსხვილფეხა და 1 015 811 სული წვრილფეხა საქონელი.

2026 წელს, ასევე, განხორციელდება სეზონურ სამოვრებზე გადარეკვის მიმდინარეობაზე ვეტერინარული ზედამხედველობა და ცხოველთა გადასარეკ ტრასებზე არსებულ ვეტერინარული ზედამხედველობის (ბიოუსაფრთხოების) პუნქტებზე სავარაუდოდ 10 000 სულ მსხვილფეხა და 900 000 სულ წვრილფეხა საქონლის ექტოპარაზიტების საწინააღმდეგო დამუშავებაზე ვეტერინარულ-სანიტარიული ზედამხედველობა;

#### 15. სადეზინფექციო სამუშაოები

დაავადებული და დაავადებით დაცემული ცხოველი წარმოადგენს ინფექციის

გავრცელების რისკს. აღმძვრელის გარემოში მოსპობის მიზნით ცხოველების სადგომებისა და დაცემის ადგილებში განხორციელდება შესაბამისისადეზინფექციო სამუშაოები.

### **მუხლი 7. ცნობიერების ამაღლება**

პროგრამის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით ჩატარებული იქნება ცნობიერების ასამაღლებელი კამპანია (ბიზნესოპერატორებისთვის და ყველა დაინტერესებული კერძო თუ იურიდიული პირებისთვის), რისთვისაც დაიბეჭდება და გავრცელდება ბუკლეტები, ფლაერები, პლაკატები.

### **მუხლი 8. მოსალოდნელი შედეგები**

პროგრამის განხორციელება ხელს შეუწყობს ქვეყანაში ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობის შენარჩუნებას, ცხოველის, ცხოველისა და ადამიანისათვის საერთო დაავადებების გამოვლენის მინიმიზირებას, პრევენციასა და კონტროლს, ცხოველთა შესახებ ინფორმაციის მოპოვებას და მიკვლევადობის განხორციელებას, ეკონომიკური ზიანის მინიმიზირებას, სამომხმარებლო ბაზარზე უვნებელი შინაური ბინადარი ცხოველის საკვებისა და თევზის ფქვილის განთავსებას, საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების ხელშეწყობას, საქართველოს ვეტერინარულ-ფარმაცევტულ ბაზარზე არარეგისტრირებული, ვადაგასული და გამოსაყენებლად უვარგისი ვეტერინარული პრეპარატების გამოვლენასა და რეალიზაციის აღკვეთას - შესაბამისად ხარისხიანი ვეტერინარული პრეპარატების მიმოქცევას, ასევე, ვეტერინარული ფარმაციის სფეროში ბიზნესოპერატორების მიერ საქმიანობის მართებულად წარმართვას, მავნე სურსათის ბაზარზე განთავსების ფაქტების მინიმიზირებას, პირველად წარმოებაში (ფერმებში), ცოცხალ ცხოველებში ზოგიერთი ნივთიერებისა და მათი ნარჩენების არსებობის მიზეზების გამოვლენას, შესწავლა - გამოკვლევას, შემდგომი ღონისძიებების განსაზღვრის მიზნით, აკრძალული პრეპარატების გამოყენების აკრძალვას და ანტიმიკრობული საშუალებების არამიზნობრივი გამოყენების შემცირებას, რაც ხელს შეუწყობს ცხოველების საექსპორტო პოტენციალის გაზრდას, მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის სადგომებში დარღვევების მინიმიზირებას და აღმოფხვრას, სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული პრეპარატების მიმოქცევის მოწესრიგებას.